# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 17 მაისი 2001 №89 (1362) | ფასი 50 თეთრი





UEFA CUP

# YES!

# 5:4!






ჟერარ ულიე და „ლივერპული“: ინგლისური სიხარულის შამპანური ფრანგის ნახელავია. წერილი „ლივერპულ“ — „ალავესის“ მატჩზე იხილეთ მეორე გვერდზე

# ტრილერი მკვლელი დელფინით

**გუშინ** — **უეფას თასი. ფინალი**

UEFA CUP

## ალავესი 4:5 დ.დ. (4:4) ლივერპული

**დორტმუნდი, «ვესტფალენშტადიონი». 70 000 მაყურებელი**

0:1 ბაბელი (4), 0:2 ჯერარდი (16), 1:2 ივან ალონსო (27), 1:3 მაკალისტერი (41პ), 2:3, 3:3 ხავი მორენო (48, 51), 3:4 ფაულერი (73), 4:4 კრუიფი (89), 4:5 ჯელი (117ს.კ.)

ერერა, კონტრა, კარმონა, ტელიესი, ეგენი (ივან ალონსო 23), ჯელი, კრუიფი, ტომიჩი, დესიო, ასტუდილიო (მაგნო 46), ხავი მორენო (პაბლო 65)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

ვესტერფელდი, ბაბელი, ჰიიპია, ენჩოსი (შმიცერი 56), კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი, მერფი, მაკალისტერი, ოუენი (ბერგერი 79), ჰესკი (ფაულერი 65)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ასტუდილიო, მაკალისტერი, ერერა, კონტრა, კარმონა, მაგნო, ტელიესი, მაგნო, ბაბელი, კარმონა
გაძევება: მაგნო (99), კარმონა (116)

**მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)**

| | | |
|---|---|---|
| 3 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 9 | კარში დარტყმა | 7 |
| 19 | ჯარიმა | 23 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 6 | თამაშგარე | 4 |

**ინგლისელი** და ბასკი ფანები დილიდანვე შეესივნენ დორტმუნდს — „ლივერპულს“ ოცი ათასამდე კაცი ჩამოყვა, „ალავესს“ — ამის ნახევარი. ქალაქის პოლიციამ შუაში ჩადგომით სიტუაცია არ დაძაბა და ბრძნულადაც მოიქცა — არაფერი მომხდარა. საღამოს კი ყველანი სტადიონისკენ დაიძრნენ. ერთი ინგლისელი ქომაგი ქალის ქვედა საცვლითაც მიბრძანდა, თუმცა ეს წვრილმანია — თამაში დაიწყო და საცვალი აღარავის ახსოვდა...

თუმცა ახსოვდათ მატჩისწინა პროგნოზი, რომელიც „ლივერპულის“ ფავორიტობას ქადაგებდა.

მე-4 წუთი: ესპანელებმა მარჯვენა ფლანგზე ემილ ჰესკის შეჩერება ჯარიმის ფასად შეძლეს, რომლის შესრულებაც სტანდარტულ სიტუაციათა უბადლო ოსტატმა, ბებერმა გარი მაკალისტერმა ითავა. მაგარმა გარიმ საჯარიმოში ჩაჰკიდა და მარკუს ბაბელმაც ბურთს თავი შეაგება — 1:0, ეს გერმანელის სეზონში მეექვსე, ხოლო უეფას თასზე პირველი გოლი გამოდგა.

„ალავესმა“ რამდენიმე იერიში მიიტანა. ჯერ ოსკარ ტელიესის საჯარიმო სანდერ ვესტერფელდმა მოიგერია, მერე კი ხორდი კრუიფმა დელფინ ჯელი გაიყვანა საგოლე პოზიციაზე, მაგრამ ეს თამაშგარეში იყო. და თითქოს „ალავესს“ გამოცოცხლება დაეტყო, რომ... 2:0.

მე-16 წუთი: მაიკლ ოუენმა დიტმარ ჰამანისგან ბურთი მიიღო, გაიგდო და სტივენ ჯერარდი მონახა. ამან საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან მარტინ ერერას ახლო კუთხეში დაურტყა და თან ისე ძლიერ, რომ მეკარის რეაქცია დაგვიანებული აღმოჩნდა.

2:0 მე-16 წუთზე — სახელოვანი „ლივერპული“ ამარცხებს უსახელო „ალავესს“, და პროგნოზი რომ ვახსენეთ, ყველაფერი იქითკენ მიდის. მართლდება იოჰან კრუიფის მატჩისწინა კომენტარიც. ეს თამაში უეფას თასის ფინალთაგან ყველაზე უინტერესო იქნებაო. აბა, რაღა ინტერესი უნდა იყოს, როცა გამარჯვებული ფაქტობრივად მატჩის დაწყებისთანავე ცნობილია.

მაგრამ მანე, ხოსე მანუელ ესნალ პარდო აკეთებს შეცვლას, მცველ დან ეგენის ნაცვლად მინდორზე თავდამსხმელი ივან ალონსო გაჰყავს და სხვაობას მინიმუმამდე ამცირებს.

27-ე წუთი: რუმინელმა მცველმა კოზმინ კონტრამ პირველად შეუტია, აჯობა დენი მერფის და შორეულ ძელთან ჩააწოდა. სადაც ბურთს ივან ალონსო ელოდა — 2:1

„ალავესმა“ იერიშებს უხშირა. იმავ კონტრას ჩაწოდებული ლივერპულელ მცველებს გასცდა და მარკუს ბაბელის ყოჩაღობა რომ არა, ხავი მორენო დასარტყმელად მზად იყო. მერე ვესტერფელდმა აართვა ბურთი ოსკარ ტელიესს და კიდევ რამდენიმე წუთში ხავი მორენოს დარტყმულიც მოიგერია. ამ პერიოდში ინგლისელთა შეტევებიდან მხოლოდ მაკალისტერის მიერ ოუენის კარგ პოზიციაზე გაყვანა იყო დასამახსოვრებელი და ეს იერიში ანტონიო კარმონამ ჩაშალა.

და ამ დროს „ლივერპულმა“ ისევ ორბურთიანი უპირატესობა მიიღო. ისევ გაგვახსენდა მატჩისწინა პროგნოზი — 3:1.

41-ე წუთი: მაიკლ ოუენი ლამის ცენტრიდან ჩაწოდებულ ბურთს გაეკიდა და ზედ საჯარიმოს ხაზთან ბასკთა არგენტინელი მეკარე დაუხვდა, რომელმაც ის უკვე საჯარიმოში შეჭრილი წააქცია. საფეხბურთო კანონებით ერერას დანაშაული წითელ ბარათს იმსახურებდა და დარღვევა საჯარიმოს გარეთ რომ ყოფილიყო, ჟილ ვესიე ალბათ ასეც მოიქცეოდა, მაგრამ ფრანგმა არბიტრმა „ალავესი“ ორმაგი სასჯელისგან დაინდო და პენალტი აკმარა. დარტყმა გარი მაკალისტერმა ითავა და ზუსტადაც შეასრულა — ერერას ცოტა დააკლდა მოგერიებამდე. ალავესელებმა კი თავისი წილი წითელი ბარათები მოგვიანებით მიიღეს.

დაიწყო მეორე ტაიმი და ექვს წუთში საშინელება მოხდა — საშინელება ლივერპულელთათვის.

48-ე წუთი: კოზმინ კონტრამ მარჯვენა ფლანგზე ჯეიმი კარაგერი მოატყუა და ჩააწოდა. იქ კი ლივერპულელთა საჯარიმოში ბურთს პრიმერა დივიზიონის უპირველესი მეგოლის ხავი მორენოს თავური ელოდა — 3:2.

51-ე წუთი: ივან ალონსომ მეტოქე მცველები გვარიანად გაამწარა და გოლს არა, მაგრამ გოლის მომტან ჯარიმას გამორჩა. საჯარიმო მოედნიდან ხუთიოდე მეტრის დაშორებით ისევ ხავი მორენომ მოიქნია და თამაშიც თავიდან დაიწყო — 3:3.

პირველ ტაიმში მანემ ალონსოს შეყვანით გოლი და საგოლე ჯარიმო მოიგო, ხოლო 3:3-ზე არანაკლები ცვლილება ჟერარ ულიემაც გააკეთა — ემილ ჰესკი რობი ფაულერით შეცვალა.

73-ე წუთი: ფაულერმა მაკალისტერის პასი მიიღო, ეს ზედ საჯარიმოს კიდესთან მოხდა, მცველებიც დაიბრიყვა და ამ დარტყმის ამღები მარტინ ერერა არ იყო — 4:3.

თითქოს ყველაფერი მართლაც საბოლოოდ გაირკვა და „ლივერპულს“ წლეულს მესამე თასის აღმართვამდე წუთილა რჩებოდა, მაგრამ აქამდე თურმე 28 წუთი კიდევ აშორებდა.

89-ე წუთი: სანდერ ვესტერფელდმა ალავესელი წააქცია. იყო თუ არა პენალტი? აბა, რა მნიშვნელობა აქვს, როცა კუთხური დაინიშნა და ჩაწოდებული ბურთი ხორდი კრუიფმა გოლად აქცია — 4:4. მამამისი კი ამბობდა, უინტერესო ფინალი იქნებაო.

მერე კი ნერვული დამატებითი დრო ორი ალავესელის გაძევებით და დელფინ ჯელისთვის ტრაგიკული დასასრულით.

მოსელინ მაგნოს გაძევებამ „ლივერპული“ მიახვედრა, რომ პენალტების სერიაში იღბლის იმედად ყოფნა სისულელე იყო. და ალბათ, ბოლო ძალებით შეუტია — ერთი ფეხბურთელით მეტობის არგამოყენება არ შეიძლებოდა, ანტონიო კარმონას გაძევებამ კი ყველაფერი დაასრულა, უფრო სწორად, ეს გაძევება დასასრულის დასაწყისი იყო.

117-ე წუთი: საჯარიმოს მარცხენა ხაზთან კარმონამ მეტოქე წააქცია და მოედნის დატოვება მოუხდა. ალბათ, გამართლებული ჯარიმაც იყო, რადგან მატჩის მიწურულს მეტოქისთვის ბოლო, უაღრესად სახიფათო იერიშის დასრულების საშუალება არ უნდა მიეცა. ბურთთან გარი მაკალისტერი მივიდა და მეკარის მოედანზე უხეიროდ ჩააწოდა. უხეიროს ვამბობთ, რადგან ერერასთვის ამ ბურთის აღება ძალზე იოლი იყო — პირდაპირ ხელებში მისდიოდა. და ამ დროს მეკარის წინ მდგომმა დელფინ ჯელიმ ბურთს თავი დაუხვედრა და როცა გონს მოეგო, უკვე ძალიან გვიანი იყო. მისმა ავტოგოლმა, ვისთვის ოქროსამ და ვისთვის სიკვდილისამ, თასი „ლივერპულს“ მოაგებინა. ჯელის ცრემლები და თანაგუნდელთაგან ნუგეში სწორედ რომ ვერაფერი ნუგეში იყო.

ბოლოს კი იყო დაჯილდოება, უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონის უსიცოცხლო სახით, ფერადი ქაღალდების ფეიერვერკით, სიხარულით გადარეული ლივერპულელებით და ფანთა შესრულებული ტრადიციული ჰიმნით: „შენ არასდროს დარჩები მარტო“. რაგინდ დიდი ანგარიშით აგებდეს „ლივერპული“, მისი ქომაგები მაინც მღერიან ამას და ახლა მით უმეტეს იმღერებდნენ.

მატჩის გმირი, ბებერი მგელი გარი მაკალისტერი გახდა, რომელმაც ნაღდი ფეხბურთის თამაში 36 წლისამ დაიწყო და მეტოქეს ჯენტლმენურად ქება და დიდება უძღვნა. ჟერარ ულიემ კი, ტრილერი იყოო, ეს თქვა. მართლაც, რით არ იყო ტრილერი?

**გიორგი დარჯანია**



მეხუთე და ოქროს გოლი



ხორდი და იოჰან კრუიფები



მატჩის საუკეთესო: გარი მაკალისტერი

### ინგლისი

II დივიზიონი
პლეი-ოფი. II მატჩები
რედინგი 2:1 უიგანი (0:0)
უოლსოლი 4:2 სტოკ სიტი (0:0)
ფინალი, 27 მაისი: „რედინგი“ — „უოლსოლი“

III დივიზიონი
პლეი-ოფი. II მატჩები
ჰარტლპული 1:3 ბლექპული (0:2)
ლეიტონ ორიენტი 2:0 ჰალი (0:1)
ფინალი, 26 მაისი: „ბლექპული“ — „ლეიტონ ორიენტი“

### შვეიცარია

A ჯგუფი. XII ტური
ციურიხი 1:2 ლუგანო
სიონი 1:0 ლოზანა
ბაზელი 3:3 გრასჰოპერი

A/B ჯგუფი. XII ტური
ივერდონი 1:1 არაუ
ბელინცონა 1:2 ძაამაძსი
ლუცერნი 4:0 ვილი

B ჯგუფი. XII ტური
ვანგენი 2:4 დილეგონი
ბადენი 0:1 ტუნი

### ნორვეგია

VII ტური
ბოდო გლიმტი 1:0 ტრომსო
ბრანი 2:1 ლინი
მიოლდე 3:2 სოგნდალი
მოსი 2:1 ბრინი
რუსენბორგი 4:0 სტრომსგოდსეტი
სტაბეკი 3:2 ლილესტრიომი
ვიკინგი 1:0 ოდ გრენლანდი

### პორტუგალია

სუპერთასი. II მატჩი
სპორტინგი 1:0 პორტუ (1:1)

### პოლონეთი

თასის ფინალი. I მატჩი
გურნიკი 1:2 პოლონია
0:1 ბაკი (43), 1:1 პრობერცი (53პ), 1:2 პაველაკი (67)
საპასუხო მატჩი გაიმართება 27 მაისს

### რუსეთი

თასის 1/2 ფინალი
ანჟი 2:1 კრილია სოვეტოვი
სოკოლი 0:1 ლოკომოტივი
ფინალში 20 ივნისს მახაჩყალის „ანჟი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“ შეხვდებიან

24 საათის ინფორმაცია განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)



კახა კალაძე: მომწერეთ წერილები. ინტერნეტით

# www.kaladze.com. ვირტუალური კახა

**კახა კალაძე** ჩვენს სინამდვილეში ბევრი რამის პირველმქმნელი ხდება. ანუ ისეთ ადამიანად ყალიბდება, რომელსაც ბევრმა კოლეგამ თუ უბრალოდ მოქალაქემ უნდა მიბაძოს.

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში თამაში, მსოფლიოს ნაკრებში გარევა, მოკლე ხანში ლეგენდარული „მილანის" ერთ-ერთ ლიდერად ქცევა და.. რაც მთავარია, რწმენა იმისა, რომ ქართველ კაცს დღესაც შეუძლია ევროპული ხარისხის ფეხბურთი ითამაშოს, თანაც თავისი წესიერებითა და შრომისმოყვარეობით გარშემომყოფთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახუროს.

აი, კიდევ ერთი სიახლე. სულ მალე ამოქმედდება კახას ოფიციალური გვერდი ინტერნეტში: www. kaladze.com. დღეს რომ ეს მისამართი აკრიფოთ, წაიკითხავთ: „გვერდი მუშავდება. მალე შევხვდებით!" ცოტა ხანში კი...

საინტერესოა, რომ კალაძე, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ყოფილ საბჭოთა სივრცეში პირველი ფეხბურთელია, ვისაც საკუთარი ოფიციალური საინტერნეტო გვერდი ექნება. ეგ კი არა, ესენგეს ქვეყნებში მხოლოდ მოკრივე ძმები კლიჩკოები და ჩოგბურთელი ანდრეი მედვედევი თუ მოიწონებენ თავს მეტ-ნაკლებად სოლიდური ვებ-გვერდებით. აქ ამერიკაში მცხოვრებ ანა კურნიკოვას არ ვგულისხმობთ. აბა, წარმოიდგინეთ, ამხელა ტერიტორიაზე და...

თუმცა, საქართველოსი არ იყოს, ესენგეს ინტერნეტ-აუდიტორია არცთუ მრავალრიცხოვანია, რადგან ადამიანებს უბრალოდ კომპიუტერებამდე ჯერ ვერ მიუღწევიათ და უკეთესის იმედი, ალბათ უახლოეს წლებშიც არ უნდა გვქონდეს.

კახას თავისი პორტატული კომპიუტერი აქვს. ინტერნეტში მუშაობაც თურმე ძალიან უყვარს: „უინტერნეტოდ ცხოვრება ველარ წარმომიდგენია — ამბობს კალაძე — ყველა ინფორმაციას, ახალი ამბებით დაწყებული და ავტომანქანებით დამთავრებული, იქიდან ვიღებ. ხანდახან მიკვირს კიდეც, როგორ ვძლებდი უკომპიუტეროდ. ახლა ხომ ნებისმიერი ანგარიშის „ცოცხლად" გაგება შემიძლია".

კახა მილანური მატჩების შემდეგ თავის შეფასებებსაც ათვალიერებს ინტერნეტში. კომპიუტერით პასუხობს თაყვანისმცემლების წერილებს, ქართულს ასწავლის ერთ ათი წლის კიეველ ბიჭს, რომელსაც თურმე, ამ მხრივ, დიდი მიღწევები ჰქონია.

მაშ ასე, მალე www.kaladze.com ამოქმედდება და მისი ერთ-ერთი დასაყრდენი ოპერატიულობა იქნება. მსურველები, ვთქვათ, „მილანის" ან საქართველოს ნაკრების მატჩების შემდეგ, დაახლოებით ორ საათში კახას კომენტარებს წაიკითხავენ. აქტუალურ ფოტო თუ ვიდეომასალას კი მეორე დილით იხილავენ. თუმცა მალე დინამიკა გაიზრდება და სასურველი ფოტო-ვიდეოინფორმაცია თამაშის დამთავრებისთანავე გამოჩნდება ეკრანზე.

თვეში ორჯერ შეგეძლებათ on-line-ს რეჟიმში ესაუბროთ კახას. ანუ მოეწყობა ერთგვარი ვებ-პრესკონფერენციები, სადაც კალაძე საათნახევრის მანძილზე ნებისმიერ თქვენს კითხვას უპასუხებს.

გვერდში იქნება ფოტოგალერეაც. დასაწყისისთვის 300 ფოტოა შერჩეული, რომელთა უმრავლესობა გულშემატკივრებს არ უნახავთ — დროთა განმავლობაში ეს მარაგიც შეივსება.

და კიდევ. ყოველ თვე კონკურსი გაიმართება. გამარჯვებულს კახას პირად მილანურ მაისურას ან სხვა ღირსსახსოვარ ნივთს გადასცემენ.

მოკლედ, დიდი გეგმებია. თანაც ისეთი, ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს ჯერ რომ არ უნახავს. ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ კალაძის ოფიციალური ვებ-გვერდის ჩამოყალიბებაში მოკრძალებული წვლილი „სარბიელსაც" მიუძღვის.

**სოლომონ ბულისაშვილი**

**ექიმი კარდიოლოგი**
**გია მაზავრაშვილი**

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
*მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით*

თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

# შოტლანდიურ-ქართული ამბები

## ხიზანიშვილი ტყუილად გააწითლეს. ნემსაძე საჯაიას ბონეტისთან შეეწევა

*გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, რომ შოტლანდიურ „დანდის", სადაც საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე და ზურაბ ხიზანიშვილი თამაშობენ, მესამე ქართველის გადაბირებაც გადაუწყვეტიაო. უკვე რამდენიმე დღეა „დანდიში" „ვიტ ჯორჯიასა" და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მცველი ედიკ საჯაია ვარჯიშობს.*

— ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა. ძალიან მონდომებით ვვარჯიშობ, ამას მწვრთნელიც ამჩნევს და როგორც მითხრა, კმაყოფილია — გვითხრა ედიკ საჯაიამ გუშინ, როცა ედინბურგში დავუკავშირდით — „დანდისგან" საბოლოო პასუხი კი ერთ კვირაში მეცოდინება, ასე არიან გუნდის ხელმძღვანელები შეთანხმებულნი. თბილისში წამოსვლის წინ ივანო ბონეტი მეტყვის, ვითამაშებ თუ არა მის გუნდში. „ვიტ ჯორჯიასგან" პრობლემები არ უნდა შემექმნას. ჯერ ერთი, პრეზიდენტი გურამ რუხაძე არაა ის კაცი, ფეხბურთელს სხვა, მით უმეტეს, შოტლანდიურ კლუბში გადასვლაში ხელი შეუშალოს და მეორე, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი ჯანი კარნევალი და ბონეტი ახლო მეგობრები არიან. უსაშველო სატრანსფერო თანხაზე ლაპარაკი არ უნდა იყოს.

**— სწორედ კარნევალის დახმარებით არ ვარჯიშობ ახლა „დანდიში"?**

— დიახ. კარნევალი ბონეტის დაუკავშირდა და ჩემს თაობაზე ესაუბრა. მერე „დანდის" მწვრთნელს საქართველო — აზერბაიჯანის ამხანაგური მატჩის ფირი გაუგზავნა და ბონეტიმაც გასასინჯად მიმიწვია. რა ვიცი, უკვე გითხარით, თავადვე მითხრა მწვრთნელმა, რომ დღესდღეობით ჩემი მომზადების დონით კმაყოფილია. დანარჩენი კი 22 მაისს მეცოდინება.

**— „დანდიში" ამხანაგური მატჩი ჯერ არ გითამაშია?**

— ჯერ არა, მხოლოდ ვვარჯიშობ. შოტლანდიაში სეზონი უკვე მთავრდება, ფეხბურთელები გადაღლილები არიან და ახლა მწვრთნელიც ერიდება დატვირთვებს. ვარჯიშით ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობ.

და სანამ ედიკ საჯაია ივანო ბონეტის თავს აწონებს, მწვრთნელი მეორე ქართველის, ზურაბ ხიზანიშვილისადმი მსაჯის უსამართლო საქციელმა გადარია, ჯერ ნაჩუქარი ახალთახალი მობილური ტელეფონი მიწას დაახეთქა, მერე კი აღშფოთებულმა; „სელტიკი" — „დანდის" მატჩის მეოთხე მსაჯს პიჯაკი ცხვირწინ მიუგდო, ზურაბ ხიზანიშვილი რად გააძევეთო.

— ასეთი არაფერი მინახავს — გვითხრა გაკვირვებულმა ზურამ — სელტიკელი ლარსონი ჩვენს მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ სისწრაფეში დავეჯაბნე და როცა მის წინ ვიყავი, მეუხეშა, ფეხი კოჭში ჩამარტყა და მოედანზე გამაკოტრიალა. ტკივილისგან გაჭირვებით წამოვდექი, მგონია, ლარსონი მომიბოდიშებს, მსაჯი კი მას გააფრთხილებს, და თქვენ წარმოიდგინეთ, მოედანი მე დამატოვებინა, სულ არაფრისთვის. იქით უნდა ეჩვენებინა „სელტიკის" შვედი თავდამსხმელისთვის ყვითელი ბარათი.

**— საერთოდ არ გაკარებიხარ?**

— გაკარებით, როგორ არა, მაგრამ არაფერი დამიშავებია, ჩვეულებრივი ორთაბრძოლა იყო. მსაჯს, ეტყობა, რალაც მოელანდა. გაზეთებშიც დაიბეჭდა და ტელევიზიითაც რამდენჯერმე იყო ამ ეპიზოდის გარჩევა. ყველა ერთსადაიმავეს ამტკიცებს. მსაჯი არასწორად მოიქცა, პირიქით, ლარსონი უნდა გაეფრთხილებინაო.

**— ბონეტი მსაჯის გადაწყვეტილებას გაუცოფებია..**

— ჯერ ტელეფონი დაამსხვრია და მერე, მეოთხე მსაჯს პიჯაკი მოუქნია.



გიორგი ნემსაძე ედიკ საჯაიას შოტლანდიელებთან უშუამდგომლებს



გია ახალკაციშვილის ფოტო

არბიტრმა ისიც გააძევა. სტუმრად 1:0-ს ვიგებდით და ბონეტიც აღშფოთდა, კიდევ კარგი, ჩემი გაძევების შემდეგ რამდენიმე წუთში მეორე გოლიც გავიტანეთ. ბონეტი კი მეორე ტაიმში ლოჟაში იჯდა და თამაშს იქიდან უყურებდა.

**— ეს მერამდენე წითელი ბარათია შენს კარიერაში?**

— პირველი და ძალიან დამწყდა გული. წითელი კი არა, მცველი ვარ და ამის მიუხედავად, სულ რამდენჯერმე ვარ გაფრთხილებული.

ამასობაში „დანდის" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ნემსაძე ბიძაშვილის გარდაცვალების გამო თბილისში ჩამოვიდა, „დანდის" არგენტინელმა, სახელოვანმა ფორვარდმა კლაუდიო კანიჯამ კი გუნდის დატოვება და კარიერის „გლაზგო რეინჯერსში" გაგრძელება გადაწყვიტა.

— კი, ვიცი, „რეინჯერსს" კარგა ხანია სურს კანიჯას გადაბირება, მაგრამ ის გლაზგოელებს პირობებზე ვერ უთანხმდებოდა. ახლა კი, ეტყობა, კლუბებმა და ფეხბურთელმა საერთო ენა გამონახეს. „დანდისთვის", ეს, რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისი იქნება, კანიჯას დარი ფორვარდები ძნელად საპოვნი არიან. მე კი შოტლანდიას ხვალ მივემგზავრები, ბოლო ტურის მატჩს ვითამაშებ და ედიკ საჯაიასაც შევაწევ ერთ-ორ სიტყვას. ისე კი, მითხრეს, რომ საჯაიას მომზადებით კმაყოფილნივართო. თბილისში 22-ში ჩამოვალ და თუ გამომიძახეს, ნაკრებთან ერთად გავაგრძელებ ვარჯიშს — ეს კი გიორგი ნემსაძემ გვითხრა.

აი, ასეთია შოტლანდიური „დანდის" ქართული ამბები.

**ძობა ინასარიძე**



ზურაბ ხიზანიშვილი (მარცხნივ) შოტლანდიურმა მედიამ გაამართლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავითი და სპარტაკი

## ქოქიაშვილმა გროზნის გული მოიგო

**9 მაისს** ქუთაისის „ტორპედოზე" ქართველმა ცხრამეტწლამდელებმა აზერბაიჯანელებს უმასპინძლეს. ჩვენებურები კარგა ხანს აგებდნენ უკეთ მოთამაშე სტუმრებთან, მაგრამ 70-ე წუთზე მაინც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. გოლი დავით ქოქიაშვილმა გაიტანა და ამით მშვენიერი საჩუქარი უძღვნა საკუთარ თავსაც, რადგან იმ დღეს იუბილარი გახლდათ, 18 წლის შესრულდა.

სამი დღის შემდეგ ქართველებმა უკვე ირანელებს უმასპინძლეს ბოლნისში და უდავოდ ძლიერ მეტოქესთან საპატიო ფრეს გამოჰკრეს ხელი (1:1). ქართველთაგან გოლი ისევ ქოქიაშვილმა გაიტანა, დათომ მოჭრილი, ძლიერი დარტყმით შორეულ კუთხეში ჩაუსვა სპარს მეკარეს ბურთი.

გუშინწინ კი ქართველმა ცხრამეტწლამდელებმა თავიანთი მესამე საკონტროლო მატჩი გამართეს „ეროვნულზე". სპარსელებმა პირწმინდად დაგვჩაგრეს. ჩვენს გუნდში გამორჩეული კვლავაც დავით ქოქიაშვილი გახლდათ. მან ზედიზედ მესამე მატჩში მესამე გოლიც გაიტანა და ფეხმტკივანმა ბოლომდე თავდადებით იბრძოლა.

დავით ქოქიაშვილმა, ბევრისთვის უცნობმა ახალგაზრდა რუსთაველმა, ცოტა ხნის წინ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი რუსული ფეხბურთის ლიდერ მოსკოვის „სპარტაკთან".

ქოქიაშვილი ს. კ. „ოლიმპიკის" აღზრდილია და ცხრა წელი გელა გომელაურთან (საქართველოს ცხარმეტწლამდელთა ნაკრების ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი) იზრდებოდა. 2000 წლის სექტემბერში დათო თანაგუნდელ ირაკლი სამხარაძესთან ერთად გერმანულ „კარლსრუეს" საფეხბურთო სკოლაში გაემგზავრა და იქ ოთხი თვე დაჰყო. გერმანელებს ორივე ქართველი თვალში მოსვლიათ და მაისიდან მათთან ახალი ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინათ. სამხარაძე „კარლსრუეს" წინადადებას დაჰყაბულდა და დღესაც გერმანიაშია, ქოქიაშვილმა კი „სპარტაკის" ვარიანტი არჩია და ერთი თვის წინ მოსკოვს გაემგზავრა. გუნდთან სამიოდე ვარჯიშის შემდეგ ერთ-ერთ საკონტროლო მატჩის მეორე ტაიმში ბრაზილიელი რობსონი შეცვალა და ორი საგოლე პასიც გააზერხა. „სპარტაკის" სათადარიგო გუნდის მწვრთნელმა გროზნიმაც გადაწყვეტილება უმალ მიიღო და კონტრაქტი შესთავაზა. ქოქიაშვილმაც 2005 წლამდე დაუკავშირა მომავალი „სპარტაკს" და თბილისში ჩამოვიდა, რათა ნაკრების შემადგენლობაში საკონტროლო მატჩებში მიეღო მონაწილეობა.

დავით ქოქიაშვილი თავის ახალ კლუბს თვის ბოლოს შეუერთდება.

**ბაადა ძვანტალიანი**



დავით ქოქიაშვილი (მარცხნივ) ზევით წავიდა

# დამიმტკიცეთ!

## გელა გომელაური მილიონ დოლარს გადაიხდის...

*ბოლო ერთ კვირაში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა სამი ამხანაგური მატჩი გამართა (აზერბაიჯანთან 2:1, ირანთან 1:1, 2:4) და ფაქტობრივად დაიწყო კიდეც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადება. გუნდზე, ამ სამზადისსა და დარჩენილ პრობლემებზე გავესაუბრეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს გელა გომელაურს.*

**— რას იტყოდით ბოლოდროინდელ „ალმოსავლურ სერიაზე", აზერბაიჯანთან და ირანთან მატჩებზე?**

— ეს იყო ჩვენი პირველი სერიოზული გამოცდა. აქამდე არც გვქონია შესაძლებლობა, ასეთ დონეზე შეგვემოწმებინა ფეხბურთელები, ჯერ კიდევ არ ვიცით სრულად მათი შესაძლებლობები. ამ მატჩებმა ნათლად დაგვანახა ბევრი ხარვეზი — სათამაშო დისციპლინის ნაკლოვანებანი, არასრულყოფილი ფიზიკური მომზადება... ამ ყოველივეს, ცხადია, გავითვალისწინებთ.

**— ამ ხარვეზებთაგან უპირველესად თვალშისაცემია დაცვის სისუსტე.**

— გეთანხმებით. დაცვაში კატასტროფული სიტუაციაა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჩვენი ოთხი მცველიდან, ფაქტობრივად, არცერთია მცველი, ყველა ნახევარმცველია. მათ დაცვაში თამაშის გამოცდილება არ გააჩნიათ. ამიტომ ძნელია, დღეს მათგან მაღალ დონეზე თამაში მოვითხოვოთ, თუმცა ეს გასამართლებელი საბუთი ნამდვილად არ არის.

**— და მაინც, შეგიძლიათ თქვათ, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია?**

— ამის თქმა კი შეიძლება. თანაც ამ მატჩში გვაკლდა რამდენიმე ფეხბურთელი, მაგალითად, სამხარაძე, ონიანი, იაკობიძე, რომლებიც შემდეგში დაგვემატებიან.

**— თქვენ 19-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნისთანავე გამოხატეთ ნაკრების საბაზო გუნდის შექმნის სურვილი, რომელიც უკონკურსოდ გამოვიდოდა ეროვნული ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში. თუმცა ეს სურვილი სურვილადვე დარჩა.**

— მერწმუნეთ, ეს იქნებოდა ძალიან კარგი საქმე. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში დღეს უკეთესი შედეგი გვექნებოდა და ნაკლებად წავაწყდებოდით ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა და შეუთამაშებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ ამ პროექტს მხარი დაუჭირა, კლუბების წინააღმდეგობის გამო მისი განხორციელება ვერ მოვახერხე.

**— ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ ყველა ასაკის ნაკრებმა უნდა ითამაშოს ეროვნული ნაკრების ტაქტიკით?**

— ამ აზრს მივესალმები, თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს ნაკრების მწვრთნელთა საბჭო, უნდა იყოს აზრთა გაზიარება. ასევე ძალიან დიდ როლს თამაშობს თვით მოთამაშეთა კონტინგენტი. რეჟისორი ვერ დადგამს კარგ სპექტაკლს, თუ მას კარგი მსახიობები არ ჰყავს. ვერც მე ვათამაშებ გუნდს იმ ტაქტიკით და დავალებით, რომელსაც ფეხბურთელები ვერ შემისრულებენ.

**— გაქვთ თუ არა კიდევ დაგეგმილი ამხანაგური მატჩები?**

— ჯერჯერობით ის ვიცი, რომ აგვისტოში ირანში საპასუხო ვიზიტი მოგვიწევს. გვინდა გერმანიაში წასვლაც, ერთ-ერთ ტურნირში მონაწილეობა. ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

ბოლოს კი მინდა ერთიც ვთქვა. ალმასკომის სხდომაზე გაკეთდა მეტად არასერიოზული და აბსურდული განცხადება, თითქმის მე არ მყავს ნაკრებში ფეხბურთელი, თუ ის არ არის „ვიტ ჯორჯიას" წევრი. ყოველივე ამის შემდეგ მე დავწერე განცხადება და წამოვედი ამ კლუბიდან. ეს ნაბიჯი იმიტომ გადავდგი, რომ ყოველგვარი საფუძველი მომესპო ამ უაზრო ბრალდებებისთვის, მილიონ დოლარს გადავიხდი, თუ ვინმე ნაკრებში ფეხბურთელის პროტექციით აყვანას დამიმტკიცებს. ამის შესახებ, სიმართლე გითხრათ, არც არავის შევუწუხებივარ და ნურც ნურავინ შეეცდება ამის გაკეთებას.

**ძახა ზალამბერიძე**



გელა გომელაური

# 20 მაისს თბილისის ღია ჩემპიონატი კომპიუტერულ ფეხბურთში

*ვიწვევთ ყველა მსურველს 20 მაისამდე სპორტის სასახლეში, სადაც გაიმართება მსურველების გაერთიანება ფედერაციაში. ისინი გადაიხდიან საწევრო 10 ლარს, გახდებიან რა ფედერაციის წევრები, მიიღებენ ფედერაციის მოწმობას და უფლებას, ჩაებან ჩემპიონატის შესარჩევ ტურში*

### ჩემპიონატის პროგრამა

*1. ჩემპიონატი ტარდება კომპიუტერულ ფეხბურთში SOCCER 2000-ში.*

*2. ორი ასაკობრივი კატეგორია 17 წლამდე და 17 წლის ზევით.*

*3. ჩემპიონატის შესარჩევი ტური ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, რომლის შემდეგ გამოვლინდება 16 უძლიერესი მოთამაშე, ხოლო მათ შორის გათამაშდება ჯგუფური ტურნირი.*

*4. გამოვლინდება ტურნირის ჩემპიონი, რომელიც დაჯილდოვდება ფულადი პრიზითა და სიგელით ჩემპიონის წოდებით. ასევე დაწესებულია მეორე და მესამე ადგილები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.*




*5. დაწესდება საკვალიფიკაციო რეიტინგი I ჯოისტიკი, II ჯოისტიკი, III ჯოისტიკი და ა.შ. მე-16 ჯოისტიკი.*

*6. სასპარეზო გუნდის არჩევა თავისუფალია. ჩემპიონატში მონაწილეობის დროს მონაწილეს შეუძლია ითამაშოს საკუთარი ჯოისტიკით, რაზედაც მან წინასწარ უნდა განაცხადოს.*

*7. ჩემპიონატის სიგელით დაჯილდოვდება 32 მონაწილე, რომლებიც მომავალ საქართველოს ჩემპიონატში აღარ მიიღებენ მონაწილეობას შესარჩევ ტურში და პირდაპირ ფინალურ ეტაპზე ჩაერთვებიან ჩემპიონატში.*

*8. საპრიზო ფონდისა და მისი განაწილების შესახებ ცნობილი გახდება ჩემპიონატის დაწყების პირველივე დღეს.*

*ტურნირის საფინალო ეტაპის დღეს განზრახულია სარეკლამო დაფების განლაგება. რეკლამის მსურველ ორგანიზაციებსა და ფირმებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ჭავჭავაძის №49 ა. სპორტის დეპარტამენტის შენობა IV სართული. საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია. ტელ 23-56-93 8(99) 15 48 97*

*ასევე ფირმებს შეუძლიათ წაახალისონ ჩვენი მონაწილეები და გაზარდონ საპრიზო ფონდი ან დააწესონ ფასიანი საჩუქრები. მათი მოღვაწეობისა და დახმარების შედეგები გამოქვეყნდება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.*

*აქვე მადლობას ვუხდით სპორტის დეპარტამენტსა და სპორტის სასახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.*

**საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია**





# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის პროსპექტზე №.ყ ლიბერტეფეა "სულიკოსთან"

ახალი მთავარი მწვრთნელით დაიწყო საგაზაფხულო ეტაპი თბილისის „ლოკომოტივმა“. გუნდი ლიდერობას ჩემპიონატის ექვსეულებად დაყოფის დროსაც ინარჩუნებდა, მაგრამ ახლა რკინიგზელები მესამე ადგილზე არიან, საჩემპიონო რბოლას გამოეთიშნენ და ოდენ თასის იმედად დარჩნენ.

„ლოკომოტივის“ დამრიგებელ გივი ნოდიას გუშინ გავესაუბრეთ. ცხადია, გვაინტერესებდა გუნდის დაღმასვლის მიზეზები და ის პრობლემები, რომლებმაც ჩვენში ამ ბოლო დროს იჩინა თავი.



გურამ ცუცქირიძის ფოტო

# გივი ნოდიას მოდულაციები
## რაღა დროს პერსონალშრია?!

— სეზონი ჯერ არ ჩამთავრებულა, ორი ტური კიდევ დარჩა და თასის ფინალიც წინ არის. შესაძლოა, ამ თამაშებმა ბევრი რამ შეცვალოს, რის გამოც ჩემი გუნდის შედეგების ღრმა ანალიზისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფაქტობრივად ახალი გუნდი შეიქმნა. საშემოდგომო ეტაპის მერე „ლოკომოტივის“ ძირითადი შემადგენლობიდან ლომაია, ბალაშვილი, ჭიჭვეიშვილი და გოგიჩაიშვილი შემოგვრჩა, განსაკუთრებით დაცვის ხაზი ლამის ხელახლა დასაკომპლექტებელი გახდა.

**— და ყველაფერ ამის გათვალისწინებით, გუნდის თამაშს დადებითად აფასებთ?**

— ვფიქრობ, რაც ამ მოკლე დროში გავაკეთეთ დადებითად უნდა შეფასდეს. სხვა საქმეა, რომ შედეგით კმაყოფილი არ ვარ.

„ლოკომოტივმა“ მხოლოდ ფინალური ეტაპის ორ შეხვედრაში ვერ ითამაშა კარგად — სტუმრად „კოლხეთთან“ და „მერანთან“. ლოგიკური იყო ამ მატჩებში დამარცხება, თუმც „მერანთან“ ჭიჭვეიშვილი რომ არ გაეძევებინათ, ალბათ, სხვაგვარად წარიმართებოდა თამაში. ერთი სიტყვით, „კოლხეთთან“ მატჩის გარდა ყველა სხვა შეხვედრაში მეტოქეზე გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ...

**— ზოგს მიაჩნია, რომ გივი ნოდიამ „ლოკომოტივი“ არასწორად დააკომპლექტა, რამდენიმე ასაკოვან ფეხბურთელს მოუყარა თავი.**

— სელექციის საშუალება არ გვქონდა. გუნდისთვის გამოცდილებითა და ოსტატობით გამორჩეული ფეხბურთელები შევარჩიეთ, მოთამაშეები თვითონ მოვიდნენ ჩვენთან და უარი არ გვითქვამს. როცა გუნდი ლიდერია, ფორსირებული ქმედება არ წაადგება, ასეთ დროს უფლება არ გქონდა, მხოლოდ ახალგაზრდებს დავყრდნობოდით. მაგრამ ამავე დროს იმავე შელიასა და ცხადაძის გვერდით ახალგაზრდებიც ხომ თამაშობენ — სალუქვაძე, გილაური, ბაქრაძე, ონიანი.

**— „ლოკომოტივს“ იმასაც უწუნებენ, რომ გუნდი ფლანგებიდან ვერ უტევს, მხოლოდ ცენტრიდან ცდილობს მეტოქის დაცვის გარღვევას.**

— მოთამაშეთა რა კონტინგენტიც გვყავს, ტაქტიკასაც ამის მიხედვით ვირჩევთ, გუნდის თამაშის სტილი თერთმეტი საუკეთესო ფეხბურთელის შესაძლებლობებს ემყარება. ზონური დაცვით ვთამაშობთ, საყრდენები ჭიჭვეიშვილი და ანჩაბაძე არიან, წინ ორი ან სამი ფორვარდით ვთამაშობთ — დათვაძე და გოგიჩაიშვილი ფაქტობრივად ფორვარდები არიან, ოღონდ ზონის დაკეტვა უწევთ. რაც შეეხება ფლანგებს, აქ განაპირა მცველებმა უნდა იმოქმედონ, მაგრამ მათ დაცვაშიც და შეტევაშიც თანაბრად თამაში ერთობ უჭირთ. ჩვენ ტიპიური ფლანგური ნახევარმცველები უბრალოდ არ გვყავს.

**— „ლოკომოტივის“ თამაშს, რა თქმა უნდა, ცალკეული ფეხბურთელებიც განაპირობებენ, თუმც მათ სტაბილურობა აკლიათ.**

— აქ მთელი რიგი ფაქტორებია გასათვალისწინებელი. როცა გუნდიდან გივი კვარაცხელია წავიდა, თითქოს ხერხემალი გადაგვიტყდა. ამან მორალურადაც ძალიან იმოქმედა გუნდზე. იძულებითი იყო ისიც, რომ საყრდენის პოზიციაზე ანჩაბაძე გავამწესეთ. ამ ფეხბურთელს კარგა ხანია, ვიცნობ, ის ახლა უფრო მეტს მოძრაობს. ანჩაბაძესა და გოგიჩაიშვილს მეტოქე გუნდები დიდ ყურადღებას უთმობენ, ხშირ შემთხვევაში პერსონალური მეურვეები მიუჩინეს. ასეთი რამ თანამედროვე ფეხბურთში იშვიათია, პრიმიტიულია და ჩვენ არ ვიყენებთ, მაგრამ მეტოქე გუნდებს ამან რამდენიმე შემთხვევაში გაუმართლა. როცა ცუდ მინდორზე თამაშობ, ფოთში, მცხეთაში, „სინათლეზე“, ეს ჭრის. თანაც ჩვენი ფეხბურთელებისთვის მეტოქის მხრიდან, ასე ვთქვათ, ზედმეტი ყურადღება ძნელად გადასალახი აღმოჩნდა.

მსურს ცალკე გამოვარჩიო კახა ცხადაძე. როგორც იცით, იგი კარგა ხანს უთამაშებელი იყო, მაგრამ მთელ რიგ მატჩებში ბრწყინვალედ გაისარჯა. ასეთი ფეხბურთელის წყალობით, ახალგაზრდები მეტად დამაჯერებლად მოქმედებენ. ცხადაძე ძალიან მნიშვნელოვანია „ლოკომოტივისთვის“.

უნდა აღვნიშნო ალეკო კაიდარაშვილი. ბოლო ორ თამაშში ის ჩინებულად გაისარჯა. ფეხბურთელის ამგვარი კარგი თამაში ამ ჩემპიონატში ჯერ არ მინახავს. ფორვარდი განსაკუთრებული ქების ღირსია ასეთ დროს. კაიდარაშვილზე თავიდანვე დიდ იმედებს ვამყარებდით, თუმც ტრავმამ და სხვა პრობლემებმა ხელი შეუშალეს.

რუსიას ტრავმამაც დაასვა დაღი ჩვენს თამაშს. ამ ფეხბურთელის სისწრაფე და გოლის გატანის უნარი ძალიან წაგვადგებოდა.

**— ცალკეულ მატჩებზეც ვთქვათ. „დინამოსთან“ ფრემ და ქუთაისში მარცხმა მართლაც ბევრი რამ განაპირობა თქვენი გუნდისთვის.**

— ვფიქრობ, რომ ქუთაისში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ, მეტოქეზე უფრო მეტი სახიფათო მომენტები შევქმენით, თერთმეტმეტრიანიც ვერ გამოვიყენეთ. მერე, ფაქტობრივად, დაცვაში ერთადერთი პოზიციური შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. ისიც უნდა ითქვას, რომ შეცვლაზე შემოსული ტორპედოელი მალხაზ ასათიანი ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში.

„დინამოსთან“ კი ფსიქოლოგიურმა მომენტმა იჩინა თავი. პირველი ტაიმის მერე 2:0 რომ ვიგებდით, ფეხბურთელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს — თამაში მოედანზე ხელმეორედ გასვლამდე, გასახდელში დავთმეთ. ამას არავინ პატიობს, თანაც „დინამო“ განსაკუთრებით მონდომებული იყო. მეტოქის სასარგებლოდ მსაჯის ლიბერალურმა გადაწყვეტილებამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა.

**— როგორ ფიქრობთ, რომელი გუნდი თამაშობს ყველაზე საინტერესო ფეხბურთს ჩვენს ჩემპიონატში?**

— ჩვენი გუნდი, „ლოკომოტივი“. შესაძლოა, ამას იმ უბრალო მიზეზის გამოც ვამბობ, რომ მისი თამაშის ყურება უფრო ხშირად მიწევს. მერე დავასახელებდი „დინამოს“, ამ ახალგაზრდული გუნდის პროგრესი აშკარაა.

**— საქართველოში რუსეთიდან არცთუ ხანმოკლე პერიოდის შემდეგ დაბრუნდით. რაიმე განსხვავებული თუ მოგხვდათ თვალში ეროვნული ჩემპიონატის შემყურეს?**

— სფფ-მ სერიოზული ნაბიჯები გადადგა „მეგობრულ“ თამაშებთან დაკავშირებით. მესმის, ძალიან ძნელია, რომ საერთოდ არ დავუშვათ ასეთი მატჩები, მაგრამ ამან რეგულარული ხასიათი არ უნდა მიიღოს.

**— საინტერესო ფეხბურთელებს ვერ ამჩნევთ ჩვენს ჩემპიონატში?**

— ძალიან მომეწონა ასათიანი. ნიჭიერია იმედაძე და თუ თავის თავზე სერიოზულად იმუშავებს, ბევრს მიაღწევს. გამოვარჩევდი მელქაძეს, რომელმაც ჩვენს წინააღმდეგ მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი, რადგან ზონური დაცვის წინაღმდეგ თამაში მისთვის უხერხული გამოდგა. კიდევ ერთხელ გამოვყოფდი კაიდარაშვილს — ის არცთუ ისე ახალგაზრდაა, მაგრამ მომავალში შეუძლია, საკმაოდ დიდი ყურადღება მიიპყროს. დღითი დღე უმატებს ჩვენი ახალგაზრდა მცველი სალუქვაძე. გამოვარჩევდი ზირაქიშვილსაც, რომელიც დღესდღეობით საუკეთესო ფორვარდად მიმაჩნია ჩვენს ჩემპიონატში, აგრეთვე ახალგაზრდა დინამოელებს — მიკუჩაძესა და შაშიაშვილს.

საერთო ჯამში კი ფეხბურთის განვითარების მხრივ ჩამორჩენილები ვართ. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები. დროა, თანამედროვე სტანდარტებზე გადავერთოთ. ჭაბუკებმა და ახალგაზრდებმა აქედანვე უნდა მიიღონ ტაქტიკური განათლება.

**დავით თავართქილაძე**

# ფედერაცია
## ფედერაციას აშენებს
## დროშები წინ, ნაკრები ტყეში

**მალე** საქართველოს ნაკრებს საკუთარი საწვრთნელი ბაზა ექნება, ფეხბურთის ფედერაციას კი თავის საკუთარი ორიგინალური პროექტის შენობა.

ფედერაციისთვის ოფისის მშენებლობა ვაკეში უკვე დაწყებულია, ზუსტად ფედერაციის ახლანდელი ადგილსამყოფელის პირდაპირ, „26 მაისის“ სტადიონის ტერიტორიაზე. ახლა საამშენებლო სამუშაოები რამდენიმე დღით არის შეჩერებული და მაშინ განახლდება, როცა „26 მაისის“ სტადიონი ოფიციალურად გაიხსნება, ეს კი 26 მაისსაა დაგეგმილი. ფედერაციის ოფისის ფასადი კრემისა და ოქროსფერი იქნება, დაბურული შუშებით და ისეთივე ოვალური, როგორსაც ფოტოზე ხედავთ. ეგაა, სახურავზე რომ არის გათვალისწინებული ფიფა-უეფას, საქართველოსა და სხვა დროშების ჩამომწკრივება, ფედერაციის ჩინოსნებს არ მოსწონთ და დროშების აღმართვას შესასვლელთან აპირებენ.

ნაკრებისთვის საწვრთნელი ბაზა კი აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყეში აშენდება. საამისო სამუშაოები ივნისიდან დაიწყება. ბაზაზე ორი სავარჯიშო მინდორი, კორტი, ფრენბურთის მოედანი, აუზი და ყველაფერი ის მოეწყობა რაც თანამედროვე ბაზისთვის აუცილებელია. ფოტოზე აღბეჭდილ პროექტსა და რეალობას შორის სხვაობა კი, ალბათ, ერთი იქნება — ცენტრალურ მოედანს მხოლოდ ერთი ტრიბუნა შემოსაზღვრავს, რომლის თავზეც დარბაზი, საძინებლები, კვების ბლოკი და სხვა რამერუმეებია გათვალისწინებული.

და ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფიფას ფულებით. ეს კი უკვე ნაღდია, ფედერაციამ ნაკრებისთვის ჩინებული „მერსედესის“ ავტობუსი შეიძინა.

**კობა ინასარიძე**






## ჯიშკარიანი 500 ლარს გადაიხდის და მშვიდად იქნება

**გუშინ** გამართულ სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე დისციპლინარებმა ათ წუთში მოილიეს საქმე. გასარჩევ-გადასაწყვეტი ბევრიც არაფერი იყო. ორად ორი ფეხბურთელი დაისაჯა პირველიგური გუნდებიდან. „თბილისის“ მეკარე ზვიად კუპატაძე ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს ხაშურის „ივერიასთან“ მატჩში. ეს ფეხბურთელი ერთ შეხვედრას გამოტოვებს და 50-ლარიან ჯარიმას გადაიხდის. გაცილებით მკაცრად დაისაჯა ხობელი თორია, მან „ოკეანესთან“ შეხვედრაში მსაჯებს აგინა და შედეგად სამი მატჩით მოცდება და 150 ლარით შეითხელებს ჯიბეს.

გუშინდელ სხდომაზე მწვრთნელის უდისციპლინობის საკითხიც განიხილეს. პირველ მაისს „მერანი“ სათასო მატჩში „ლოკომოტივს“ შეხვდა. იმ მატჩის მსაჯების (კრიჭაშვილი, ანიაშვილი) და ინსპექტორის (მილჩენკო) მოხსენებითი ბარათების თანახმად, „მერანის“ ერთ-ერთი მწვრთნელი დავით ჯიშკარიანი მსაჯების გინებისთვის გააძევეს სათადარიგოთა სკამიდან. გუშინდელ სხდომაზე ჯიშკარიანი გამოძახებული კი ჰყავდათ, მაგრამ არ მისულა, ამიტომ დისციპლინარებმა უმისოდ მიიღეს გადაწყვეტილება. დავით ჯიშკარიანი ერთხელ უკვე გაფრთხილებული ჰყავდათ (19 აგვისტოს), მეორედ მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მკაცრი საყვედური მისცეს და 200 ლარით დააჯარიმეს (27 აგვისტოს), გუშინ კი კვლავაც მსაჯების შეურაცხყოფისთვის ჯიშკარიანს 500 ლარის გადახდა დააკისრეს და საბოლოოდ გააფრთხილეს. კიდევ ერთი დარღვევა და ფეხბურთს ჩამოვაშორებთო, დაიქადნა სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე, ომარ გოგიაშვილმა.

**ბაატა ძგანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

ჰაჰუნა კეღია

# მეოთხე ადგილის დღე

XXXI ტური

დღეს

მილანი — ფიორენტინა

პარმა — ინტერი

**საპლეიოსო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 30 | 20 | 7 | 3 | 58:28 | 67 |
| ლაციო | 30 | 19 | 5 | 6 | 57:32 | 62 |
| იუვენტუსი | 30 | 17 | 10 | 3 | 51:25 | 61 |
| პარმა | 30 | 14 | 8 | 8 | 44:24 | 50 |
| მილანი | 30 | 12 | 11 | 7 | 52:40 | 47 |
| ინტერი | 30 | 12 | 8 | 10 | 41:41 | 44 |
| ატალანტა | 30 | 10 | 12 | 8 | 35:29 | 42 |
| ბოლონია | 30 | 11 | 9 | 10 | 41:40 | 42 |
| პერუჯა | 30 | 10 | 10 | 10 | 45:47 | 40 |
| ფიორენტინა | 30 | 9 | 12 | 9 | 49:45 | 39 |
| ბრეშა | 30 | 8 | 12 | 10 | 35:37 | 36 |
| უდინეზე | 30 | 10 | 4 | 16 | 45:53 | 34 |
| ვიჩენცა | 30 | 8 | 8 | 14 | 33:44 | 32 |
| ლეჩე | 30 | 7 | 11 | 12 | 35:49 | 32 |
| რეჯინა | 30 | 8 | 5 | 17 | 27:45 | 29 |
| ნაპოლი | 30 | 6 | 10 | 14 | 29:48 | 28 |
| ვერონა | 30 | 7 | 7 | 16 | 31:51 | 28 |
| ბარი | 30 | 5 | 5 | 20 | 28:58 | 20 |

**ვითომ რატომ** ვერ გავა „მილანი" მეოთხე ადგილზე? არადა, თუ მეოთხე ადგილზე გავიდა, სექტემბრიდან შავ-წითელი სალარო სერიოზულად შეივსება — იტალიური მეოთხე ადგილი ხომ ჩემპიონთა ლიგის მარკეტინგულად ჩინებულ გათამაშებაში მონაწილეობას ნიშნავს.

„მილანის" მოცილე „პარმაა", რომელიც მას სამი ქულით უსწრებს და მილანელთა ვიცე-პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის თქმით იმდენად ძლიერია, რომ ამ შემთხვევაში სამქულიანი უპირატესობა ბევრს ნიშნავს.

მაგრამ, ბევრს ნიშნავს თუ ცოტას, სამი ქულა სამი ქულაა, ანუ ერთი მოგებ-წაგებაა და ვინაიდან პირველობის დასრულებამდე ოთხად ოთხი ტური რჩება, უნებურად ვიხედებით კალენდარში. კალენდარი გვეუბნება, რომ რთული მატჩები ორივეს დარჩა. პარმელთა გასწვრივ წერია: „ინტერი" და „რომა", „მილანის" გასწვრივ კი „ფიორენტინა" და იგივე „რომა". აქ, ხაზგასმით გვინდა ვთქვათ, რომ კონკურენტებს ქულის დაკარგვა იმ შეხვედრაშიც შეუძლიათ, რომელთაც ჩვენ ერთი შეხედვით რთულად არ მივიჩნევთ, მაგრამ აქ, უბრალოდ იმ წინადადების თავიდან არიდება გვინდოდა, რომ სერია A-ში ნებისმიერი გუნდი სერიოზული მეტოქეა და აუტსაიდერსაც კი შეუძლია ლიდერს თამაში მოუგოს.

ერთი სიტყვით, „პარმა" და „მილანი" მეტნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში არიან (თან „რომასთან" ორივე სტუმრად თამაშობს) და ჩვენს მიერ რთულად მოხსენიებული შეხვედრიდან პირველებს დღეს მართავენ: „პარმა" „ინტერს" მასპინძლობს, ხოლო „მილანი" — „ფიორენტინას".

მილანელები ფლორენციელებს ჩინებულ ხასიათზე (წინა ტურში „ინტერს" 6:0 მოუგეს) და ასეთი შემადგენლობით ხვდებიან: *როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, როკე ჟუნიორი, მალდინი, გატუზო, ჯუნტი, კალაძე, სერჟინიო, კომანდინი, შევჩენკო.*

„შავ-წითლებს" შორის, ბოლო ტურის მიხედვით, საგანგებო ყურადღება ჯანი კომანდინის უნდა მივაპყროთ, რომელმაც „ინტერს" ორი გოლი გაუტანა, რასაც ამ, ფაქტობრივად, სათადარიგო მოთამაშისგან არავინ ელოდა, მაგრამ თუ ბოლო ტურს კი არა, ტურებს დავაკვირდებით, მილანელთა შორის ახალ ვარსკვლავს, სერჟინიოს აღმოვაჩენთ. რაც „მილანის" მწვრთნელის თანამდებობაზე ჩეზარე მალდინი დაინიშნა, სერჟინიო დაცვისგან შედარებით თავისუფალია და თავის მარცხენა ფრთაზე სასწაულებს სჩადის.

მაგრამ, ბრაზილიელი ასე ამბობს: „ბოლოდროინდელი გამარჯვებები მთელი გუნდის დამსახურებაა. გუნდი ხომ ახლა უფრო შეკრულია, ვიდრე ადრე იყო. პირადად ჩემთვის განსხვავება ის არის, რომ მალდინის ხელში მოედნის ჩემთვის სასურველ ადგილზე გადანაცვლების უფლება მაქვს. რა იყო აქამდე? თქვენი ნებართვით ამაზე არ ვილაპარაკებ. ჩემთვის მთავარი ის გახლავთ, რომ დღეს თავს მნიშვნელოვან ფიგურად აღვიქვამ".

შემდეგ სერჟინიო დღევანდელ შეხვედრაზე ფიქრობს ხმამაღლა: „უთუოდ რთული მატჩი გველის, რადგან მეტოქედ ის გუნდი გვყავს, რომელიც ჩემპიონატშიც წარმატებით იბრძვის და თასის ფინალშიცაა გასული. მთავარია გონება არ გაგვეფანტოს და ისეთივე ჟინით გავიდეთ მოედანზე, როგორც მილანურ დერბიში. თუ ეს შევძელით, „იებსაც" დავამარცხებთ".

„პარმა" კი დერბიში დამარცხებულ „ინტერს" მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ წინა ტურში „რეჯინასთან" პარმელებს დაცვის ვარსკვლავი ფაბიო კანავარო დაუშავდათ და როგორც ირკვევა, საოპერაციოც არის, მაგრამ თავად კანავარო იხტიბარს არ იტეხს:

„დიახ, პრობლემა მაქვს, ფეხი მტკივა, მაგრამ დანებებას არ ვაპირებ, სეზონის ბოლომდე ოპერაციას არ გავიკეთებ. ახლა „ინტერთან" გვაქვს თამაში. მილანელთაგან ჩვენი მთავარი პრობლემა ჩემი მეგობარი ბობო ვიერი იქნება. მახსოვს, მან პირველ წრეშიც გაგვიტანა და ამიტომ სწორად მოვიქცევით, თუ ბობოს საგანგებო მეურვეობას დავუწესებთ".



ფეხმტკივანი ფაბიო კანავარო (მარჯვნივ) კრისტიან ვიერის პარმაში მაინც დაუხვდება



# რომარიოს კოჭი არ დაუჯდა

**ბრაზილიელი** ბებერი მგელი — რომარიო, მეორე წელია, რაც ფინალის გარეთ რჩება. ოცდათხუთმეტი წლის ჯერ კიდევ მრისხანე რომარიო ამჯერად მარცხენა კოჭმა შეაწუხა. ტრავმა გამორჩეული ფინტისა და დრიბლინგის პატრონისთვის უცხო არაა. რომარიოს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაუსვლელობა ნაკრების მწვრთნელმა მის მარჯვენა კოჭს დააბრალა. ამის გამო 1999 წელს ფორვარდმა კარიოკას ფინალშიც ვერ ითამაშა. მაშინ ის „ფლამენგოს" შეტევის სული და გული გახლდათ და „ვასკუ და გამას" კარის დალაშქვრაც ფრიად სწყუროდა. მომდევნო წელს რომარიომ გუნდი გამოიცვალა. იგი მტრის, „ვასკუ და გამას" რიგებში გადაბარგდა, ჩემპიონატში სამოცდაექვსი გოლიც გაიტანა, რითაც გუნდის რეკორდსმენი შეიქნა, მაგრამ ტრავმამ აქაც იჩინა თავი. რომარიო ამჯერადაც ფინალის გარეშე დარჩა. „ვასკომ" თავისი მუდმივი მოსისხლის მცველების რბევაში რომარიო ვერ დაიხმარა.

ვეტერანმა წლევანდელი სეზონიც კარგად დაიწყო, მეტოქეთა კარის ბადე ჩვიდმეტჯერ შეარხია, მაგრამ დადგა ფინალის ჟამი და თითქოს ჯიბრზე რომარიოს ისევ მარჯვენა კოჭი წამოსტკივდა. „ვასკოს" ექიმმა კლოვის მუნიოსმა ფეხბურთელსა და გულშემატკივრებს ჩვეული რამ განუცხადა, რომარიო „ფლამენგო" — „ვასკოს" ფინალის პირველ თამაშს აუცილებლად გამოტოვებსო. რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატის (კარიოკა) გადამწყვეტი მატჩი ურომარიოდ ჩატარდება. „ვასკუ და გამა" თავდამსხმელს ლიბერტადორესის თასის გათამაშების შეხვედრაში ჩილეს „კონსეპსიონის" წინააღმდეგაც მოისაკლისებს.

საკვირველი დამთხვევაა. თავდამსხმელს ზედიზედ მესამე ფინალური მატჩის გამოტოვება უწევს. არადა, „ფლამენგო" და „ვასკუ" ხომ ერთმანეთს მას შემდეგ მტრობენ, რაც ბრაზილიაში ფეხბურთი არსებობს.

**გიორგი მამარდაშვილი**

# ვინ დაიწყებს პოსტკუპერულ პერიოდს?
# რანიერი: მე არა!

**რაც „ვალენსიას"** კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ანუ „ალავესის" მწვრთნელის ხოსე მანუელ ესნალ პარდოს გადაბირების იმედი დაკარგა, კანდიდატთა სიას სამი სპეციალისტი შეემატა. თუმცა სანამ ამათ ვინაობას მოგახსენებთ, გავიხსენოთ, რომ ექტორ რაულ კუპერს „ბარსელონასკენ" უჭირავს თვალი და მართალია, ვალენსიელებს ეს ამბავი დიდად არ ახარებთ, მაგრამ უფრო სახელიან და ფულიან კლუბთან ჭიდილს, ალბათ, ვერ შეძლებენ.

სამი ახალი კანდიდატი რომ ვახსენეთ, ესენი „ბოკა ხუნიორსის" თავკაცი კარლოს ბიანკი, „რაიო ვალეკანოს" ხუან რამოსი და ჩელსელი კლაუდიო რანიერი არიან, ყოველ შემთხვევაში, ესპანური პრესის ცნობით, ასეა.

უფრო რეალურია, რომ ვალენსიიდან ჯერ კლაუდიო რანიერის შეეხმიანებიან, რომელსაც ვალენსიელი ფანები დიდ პატივს სცემენ.

ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რაკი ექტორ კუპერის მისვლამდე სწორედ რანიერი წვრთნიდა გუნდს ორი წლის მანძილზე და შეიძლება ითქვას, ჩემპიონთა ლიგის ორგზის ფინალისტის წარმატებაში მოკრძალებული წვლილი იტალიელმაც შეიტანა.

რანიერის მეორედ გავალენსიელების შანსს თავად მწვრთნელი ეჭვის თვალით უყურებს. მან თქვა: „ჩემს „ვალენსიაში" დაბრუნებაზე ხმები მომივიდა. ერთი რამ შემიძლია ვთქვა — ლონდონიდან წასვლის სურვილი არ მაქვს, „ჩელსი" ჩემი გუნდია".

ვფიქრობთ, არც „ჩელსის" ხელმძღვანელობა უნდა აპირებდეს მწვრთნელის გაშვებას. სხვაგვარად გაუგებარია, რატომ დათანხმდნენ რანიერის სურვილს, მარსელის „ოლიმპიკიდან" 23 წლის უილიამ გალასი იყიდოს, რომელიც ბერნარ ტაპიმ 4,2 მილიონ დოლარად შეაფასა. თუ რანიერის უშვებენ, აჯობებდა, ახალი ფეხბურთელები ახალ მწვრთნელს მოეძებნა. მთავარი თემიდან გადავუხვიოთ და გავიხსენოთ, რომ რანიერიმ ამ სეზონში მარსელიდან უკვე წაიყვანა საკუთარი კარის დალაშქვრის სპეციალისტი, სამხრეთაფრიკელი პიერ ისა.



კლაუდიო რანიერი

მოკლედ, ჩელსური ამბების გათვალისწინებით, „ვალენსიას" უფრო კარლოს ბიანკის ან ხუან რამოსის იმედი უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, ბიანკის ახლახან „ბარსელონაც" ეპატიჟებოდა.

**გიორგი დარჯანია**

# მათეუსი სა-ინტერ-ესოა? მწვრთნელი გინდათ? აგერ ვარ!



გერმანიაზე გულაცრუებულ ბერტი ფოგტსს „ბაიერში" ალბათ ლოთარ მათეუსი შეცვლის

**ლოთარ მათეუსის** საფეხბურთო სამყაროდან წასვლა მიუნხენის „ბაიერნმა", მთელმა გერმანიამ და გულშემატკივრებმა მტკივნეულად აღიქვეს. მაგრამ დროს თავისი მიაქვს და უკვე ორმოცს მიტანებულმა ვეტერანმაც ბუცები კედელზე ჩამოკიდა. გერმანიის ეროვნული გუნდისა და მიუნხენური კლუბიდან წასვლის შემდეგ მათეუსმა ამერიკულ „მეტრო სტარზში" მოსინჯა ბებრული ჯანი, თუმც ოკეანისგამღმელმა დიდხანს გული არ დაუდგა და გადაწყვიტა, ევროპულ ფეხბურთს დაბრუნდებოდა.

ლოთარ მათეუსს აბა, უმუშევარს ვინ დატოვებს, მაგრამ ფეხბურთელი ყველა წინადადებას როდი დაჰყაბულდება. მისი, როგორც ფეხბურთელის, ავტორიტეტი მართლაც დიდი, მაგრამ ლოთარის დღევანდელ მისწრაფებას, ხელი მიჰყოს მწვრთნელობას, შესაძლოა, მავანმა ეჭვის თვალით შეხედოს. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჯერჯერობით დამწყებია, ახალბედა ამ სარბიელზე. თვით მათეუსს, ალბათ, გულით სწადია, ისეთივე წარმატებული მწვრთნელი იყოს, როგორიც ფეხბურთელი გახლდათ. ამიტომაც უბერებელ მაესტროს არც მეტი, არც ნაკლები, თავისი ახალი კარიერის დაწყება მილანური გრანდის, „ინტერის" მთავარი მწვრთნელობიდან სურს.

მილანის „ინტერისა" და ლოთარის ურთიერთობას საკმაო წარსული აქვს. 1989 წელს გერმანელმა მილანელებთან ერთად სკუდეტო არუქა „ნერო ამურების" ტიფოზებს. სწორედ გუნდის წარსული სიდიადე და ახლანდელი სიბეჩავე უჩუყებს გულს ყოფილ ინტერელს და „გაძეტა დელო სპორტთან" საუბრისას ამბობს, რომ ძალიან უნდა, როგორმე დაეხმაროს იმ გუნდს, რომელთანაც ბევრი მოგონება აკავშირებს: „ვკითხულობ „ინტერის" ფეხბურთელთა გვარებს და გაოცებული ვრჩები. როგორ შეიძლება, ვარსკვლავთა გუნდი ამგვარად თამაშობდეს. ყველაფერ ამას შეიძლება მხოლოდ ერთი ახსნა ჰქონდეს. „ინტერს" არ ჰყავს მწვრთნელი, რომელიც გუნდს ერთ მთლიან ორგანიზმად შეკრავს. ძალიან მინდა, დავეხმარო მილანელებს და თუ საშუალება მომეცემა საიმოვნებითაც გავაკეთებ ამას".

იტალიური პრესის ზოგიერთი ცნობით, მათეუსი ერთ-ერთი რეალური კანდიდატურაა „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. გერმანელები კი საწინააღმდეგოს გვეუბნებიან. ლოთარს სამშობლოშიც იმედით ელიან. ლევერკუზენელები შესცქერიან იმედის თვალით. „ბაიერს" ამჟამად ბერტი ფოგტსი წვრთნის. გუნდი ბუნდესლიგაში მეოთხე ადგილზე იმყოფება და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც იბრძვის. ფოგტსი გერმანიის ნაკრებს წლების განმავლობაში ედგა სათავეში. 1996 წელს ევროპის ჩემპიონობაც გაახერხა. მიუხედავად ამისა, 1998 წელს იგი უბოდიშოდ გაათავისუფლეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. რა ვქნა, გერმანიას რატომღაც არ ვუყვარვარ — ამგვარ პასუხსლა ახერხებს ბერტი ფოგტსი.

გერმანელთა ინფორმაციით, ლოთარ მათეუსმა ლევერკუზენელებთან უკვე გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი, ხოლო ბერტი ფოგტსი სამუშაოს უცხოეთში ეძებს.

**გიორგი გამარდაშვილი**

# კრიმინალური ამბები
## ბეზუბიაკი მართლა უკბილოა. ამ ვიეტნამელებს რაღა უნდათ?!

**ვიეტნამის** ნაკრების მწვრთნელს, ბრაზილიელ ედისონ სილვას დაემუქრნენ, მოგკლავთ და ოჯახს გაგინადგურებთო. რუსეთში კი ერთ-ერთ ცნობილ მსაჯს, პეტერბურგელ ტარას ბეზუბიაკს საკუთარი სახლის სადარბაზოსთან უცნობები დახვდნენ და უმოწყალოდ სცემეს. ახლა კი უფრო დაწვრილებით.

ედისონ დიდა სილვა, იგივე დიდო ვიეტნამის ნაკრებს დეკემბრის შემდეგ უდგას სათავეში და აზიელებთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. დიდი წყალწაღებული გუნდი ჰყოლია ვიეტნამს. ნაკრებში ბოლო ხუთი წლის მანძილზე უკვე ოთხმა უცხოელმა სპეციალისტმა იმუშავა და იმათ საქმეს კი მაინც არაფერი ეშველა, ხსენებული დიდო კი ნაკრების რიგით მეხუთე უცხოელი მწვრთნელია.

მოკლედ, დიდოსთვის ცოტა ხნის წინ ვიღაცას დაურეკავს და დამუქრებია, გონს მოეგე, თორემ შენ და მთელ შენს ოჯახს გავანადგურებთო. თანაც უცნობებს ზედმიწევნით კარგად სცოდნიათ ბრაზილიელის ყოველდღიური ცხოვრების დეტალები, მაგალითად, როდის მიდის მისი პატარა შვილი სკოლაში. თანაც მუქარის ზარით დიდოს მის პირად მობილურ ტელეფონზეც დაურეკეს, სახლის ტელეფონზეც და ელექტრონული ფოსტაც გაუგზავნეს.

შეშინებული მწვრთნელი იძულებული გახდა, ოჯახი ევროპაში გაეხიზნა, თავად კი ვიეტნამიდან არ წასულა. საქმეში პოლიცია ჩაერია და მის სახლსაც დღე-ღამის განმავლობაში დარაჯობენ.

ცხადია, დიდოს ეს ყველაფერი ვიეტნამის ფეხბურთის ფედერაციაშიც უთქვამს. მათ კი, მეტი რომ არ ვთქვათ, ცინიკურად უპასუხიათ, ვიეტნამში ადგილობრივები უცხოელებს არაფერს ერჩიან, ამიტომ სანერვიულოც არაფერი გაქვსო.

დიდო აცხადებს, არც კი ვიცი, რატომ ცდილობენ ჩემს მოკვლას. შესაძლოა, ვინმემ მწარედ იხუმრა, მაგრამ თავად ფაქტი ხომ შემაშფოთებელიაო.

მის შეშფოთებას ისიც აძლიერებს, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ ვიღაცამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოკვლა სცადა და სახლთან ბომბი დაუმონტაჟა. ფეხბურთი ვიეტნამში პოპულარული სპორტია, ხალხსაც ძალიან უნდა, რომ მათმა ნაკრებმა რაიმე წარმატებას მიაღწიოს. თუმცაღა იქაურ ფეხბურთში კორუფციას, მატჩების ჩაწყობასა და სხვა ამგვარ უმსგავსობებს ღრმად ჰქონია ფესვები გადგმული და როგორც აღნიშნავენ, ჯერჯერობით იქაურობას, ალბათ, არაფერი ეშველება.

გადმოვინაცვლოთ რუსეთში, სადაც, როგორც მოგახსენეთ, არბიტრი გალახეს. დაზარალებულის ქალიშვილი ჰყვება, მამა სამუშაოდან ჩვეულ დროს დაბრუნდებოდა, სადარბაზოში ხელკეტებით შეიარაღებული, ოთხი ახალგაზრდა დახვდა, უმოწყალოდ სცემეს და თავში რამდენჯერმე ბოთლიც ჩაარტყესო. ბეზუბიაკი საავადმყოფოში წაიყვანეს. მას ტვინის შერყევა აქვს, თუმცა საფრთხე არ ემუქრება და რამდენიმე დღეში გამოწერენ.

გამოძიება დაიწყო. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გადახედა იმ ბოლო თამაშებს, რომლებშიც ბეზუბიაკი მთავარი არბიტრი გახლდათ. პოლიციაც ყველაზე მეტად სწორედ იმას ეჭვობს, რომ ცემის ფაქტი ამ მატჩების მსაჯობასთან არის დაკავშირებული.

**ნიკა შუბლაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**პარაგვაის** ნაკრების ფორვარდ კლაუდიო პიზაროს დორტმუნდის „ბორუსია" იწვევს. 22 წლის ფეხბურთელი ბრემენის „ვერდერში" თამაშობს და დორტმუნდული კლუბი მის სანაცვლოდ 5 მილიონ დოლარს იხდის. „ბორუსია" თან ბრიუსელის „ანდერლეხტის" ჩეხი იან კოლერითაცაა დაინტერესებული, თუმცა თავდამსხმელის შეძენის სურვილი პრემიერლიგაში ახალაღზევებულმა „ფულემმაც" გამოთქვა.

**ესპანეთის** პრიმერადივზიონში დარჩენისთვის მებრძოლი „რეალ სოსიედადი" ერთ საშინაო შეხვედრას საკუთარ მოედანზე ვერ ჩაატარებს. 5 მაისს „ვალენსიას" წინააღმდეგ მატჩში ბასკი გულშემატკივრების ხულიგნური საქციელის გამო „ანოეტას" სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ბასკური კლუბი გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, თუმცა ფედერაცია ამ აპელაციას, ალბათ, არ დააკმაყოფილებს.

**არგენტინელი** ნახევარმცველის კილი გონსალესის შეძენის სურვილს ტურინის „იუვენტუსი" გამოთქვამს. როგორც იტალიური სააგენტოები იუწყებიან, ტრანსფერი ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგაა მოსალოდნელი, როცა კილი „ვალენსიას" შემადგენლობაში ჩაატარებს შეხვედრას. ფეხბურთელის აგენტმა დაადასტურა, რომ ტურინულ კლუბთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. კილი გონსალესი არგენტინულ კლუბ „როსარიო სენტრალის" აღზრდილია, შემდეგ იგი „ბოკა ხუნიორსში" თამაშობდა, მერე ევროპაში გადმობარგდა და „სარაგოსაში" ჩაირიცხა, ამ კლუბში წარმატებული თამაშის შემდეგ კი კილი უკვე „ვალენსიაში" მოხვდა.

**მაკედონიის** ნაკრების მწვრთნელი დრაგან-კანატლაროვსკი თანამდებობიდან გადადგა. მის ნაცვლად გიორგე იოვანოვსკი დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ 45 წლის სპეციალისტი პარალელურად მაკედონიის ჩემპიონ „სლოგა იუგომაგნატსაც" ჩაამთავრებინებს სეზონს, ხოლო შემდეგ კი მთელ დროს ნაკრებს მოახმარს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ახალ მწვრთნელთან კონტრაქტს პარასკევისთვის მოაწერენ ხელს. იოვანოვსკი ქვეყნის ყოფილ ჩემპიონ „ვარდარს" ედგა სათავეში. იგი ასევე ხელმძღვანელობდა თურქულ „სამსუნსფორსაც", 1999 წელს მაკედონიის წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს მას შემდეგ, რაც „სლოგა" ქვეყნის ჩემპიონი გახადა.

**ინგლისის** პრემიერლიგაში აღზევებულმა „ფულემმა" „ლიდს იუნაიტედის" მეკარე ნაიჯელ მარტინის შეძენის სურვილი გამოთქვა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ლიდსელები თანახმანი არიან, მარტინი გაუშვან, თუმცა მის სანაცვლოდ 7 მილიონ დოლარს ითხოვენ, „ფულემს" კი 34 წლის მეკარეში ამ თანხის გადახდა ეძვირება და ცდილობს „ლიდსს" ფასი დააკლებინოს.


1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური კლინიკა



მისამართი
380109. ვაჟა-ფშაველას 29
ტელეფონები
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32
საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული
ტექნიკა
ტელ. 38-11-14,
39-48-29

იყიდება
როტვეილერის
ლეკვები



☎ 39 42 65
(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიუკასლელი სტივენ გლასი (№19) და არსენალელი რეი პარლოუ

# რაც დიქსონს თოფი უსვრია...

## ინგლისი

### გადადებული მატჩი
### ნიუკასლი 0:0 არსენალი

**ნიუკასლი:** გივენი, უ. ბარტონი, ობრაიენი, ა. პიუზი, დაბიზასი, სოლანო, გლასი, ბასედასი, სპიდი, გალაშერი (ამეობი 80), კორტი
**მწვრთნელი:** ბობი რობსონი
**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ეშლი კოული, კიოუნი, ადამსი, ვიეირა, პარლოუ, ლორენი, პირესი, ბერხკამპი (კანუ 69), ანრი
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სოლანო
50 729 მაყურებელი

**„არსენალმა“** უგოლო ფრე ითამაშა „ნიუკასლთან“ და მეორე ადგილი გაინაღდა პრემიერლიგაში, რაც იმას ნიშნავს, რომ საგაისო ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა. ახლა „არსენალს“ 70 ქულა აქვს, 10 ქულით ჩამორჩება ჩემპიონ „მანჩესტერს“ და 4 ქულით უსწრებს „ლივერპულს“. ბოლო ტურში მეთოფეებს წაგებაც ვერ დაძრავთ მეორე ადგილიდან.

„ნიუკასლის“ წინააღმდეგ მატჩი საბრძოლო და უშეღავათო გამოვიდა, მაგრამ „არსენალს“ მაინც ეტყობოდა შაბათს წაგებული ასოციაციის თასის ფინალიდან გამოყოლილი უხასიათობა, მეთოფეთა მცველ ლი დიქსონისთვის კი ეს იყო მეექვსასე მატჩი „არსენალის“ შემადგენლობაში. მასზე მეტი ამ გუნდში მხოლოდ მოქმედ კაპიტან ტონი ადამსს, ჯორჯ არმსტრონგს და აწ „ლიდსის“ მწვრთნელ დევიდ ოლირის უთამაშიათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 37 | 24 | 8 | 5 | 78:28 | 80 |
| არსენალი | 37 | 20 | 10 | 7 | 61:35 | 70 |
| ლივერპული | 37 | 19 | 9 | 9 | 67:39 | 66 |
| ლიდსი | 37 | 19 | 8 | 10 | 61:42 | 65 |
| იფსვიჩი | 37 | 20 | 5 | 12 | 56:41 | 65 |
| ჩელსი | 37 | 16 | 10 | 11 | 66:44 | 58 |
| სანდერლენდი | 37 | 15 | 11 | 11 | 44:39 | 56 |
| ასტონ ვილა | 37 | 13 | 15 | 9 | 46:40 | 54 |
| ჩარლტონი | 37 | 14 | 10 | 13 | 50:53 | 52 |
| საუთჰემპტონი | 37 | 13 | 10 | 14 | 37:46 | 49 |
| ნიუკასლი | 37 | 13 | 9 | 15 | 41:50 | 48 |
| ლესტერი | 37 | 14 | 6 | 17 | 38:48 | 48 |
| ტოტენჰემი | 37 | 12 | 10 | 15 | 44:53 | 46 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 12 | 15 | 44:48 | 42 |
| ევერტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43:57 | 41 |
| დერბი ქაუნთი | 37 | 10 | 11 | 16 | 36:58 | 41 |
| მიდლსბრო | 37 | 8 | 15 | 14 | 42:43 | 39 |
| *სიტი* | *37* | *8* | *10* | *19* | *40:63* | *34* |
| *ქოვენთრი* | *37* | *8* | *9* | *20* | *36:63* | *33* |
| *ბრედფორდი* | *37* | *5* | *10* | *22* | *30:70* | *25* |

## კარიბეთის თასი

### A ჯგუფი
### იამაიკა 1:0 მარტინიკა
1:0 ჯ. უილიამსი (60)
### ტრინიდადი 5:0 ბარბადოსი
1:0 ჯონი (25), 2:0 დვარიკა (41), 3:0 ჯონი (49), 4:0 ქერინგტონი (72), 5:0 რაშიდი (74)

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
## აზია

### V ჯგუფი. II ტური
ტაილანდი — პაკისტანი 3:0; ლიბანი — შრი ლანკა 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბანი | 2 | 2 | 0 | 0 | 10:0 | 6 |
| ტაილანდი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| შრი ლანკა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |
| პაკისტანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |

## შვედეთი

მე-6 ტურის მატჩი: აიკ — იურგორდენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:3 | 14 |
| ჰამარბი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| მალმიო | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| იორგრიტე | 6 | 2 | 3 | 1 | 10:7 | 9 |
| ჰალმსტადი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:7 | 8 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| ჰაკენი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| აიკ | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| ნორჩიოპინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:7 | 8 |
| სუნდსვალი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| იორებრო | 6 | 0 | 4 | 2 | 6:11 | 4 |
| ელფსბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| იურგორდენი | 6 | 0 | 4 | 2 | 3:8 | 4 |
| ტრელებორგი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |

Copa Toyota Libertadores '2001

## ლიბერტადორესის თასი 2001

### 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

### როსარიო სენტრალი (არგენტინა) 1:1 კობრელოა (ჩილე) (3:2)
1:0 დე ბურნო (38), 1:1 ტალიანი (84)
**როსარიო სენტრალი:** ტომბოლინი, მარა, დ. დიასი, ლოეშბორი, ლეკა, ეროსი, დ. კონტრერასი (კამპლეტი 64), კუბერასი, ე. გონსალესი (ჩ. პერესი 83), დე ბრუნო (არიასი 70), პიცი
**კობრელოა:** მელე, ვილანუევა, ფუენტესი, ი. დიასი, რ. პერესი, კორნეხო, აბდალა (სედელონი 86), მელენდესი, ბალდივიესო, ვივარი (მადრიდი 78), ტალიანი
გაძევება: ბალდივიესო (72), კუბერასი (75), ლეკა (81), კორნეხო (81)
20 000 მაყურებელი

### კრუზეირო (ბრაზილია) 4:1 ელ ნასიონალი (ეკვადორი) (2:1)
1:0 გომესი (11.კ.), 2:0 ლუიზაო (18), 2:1 ერერა (32პ), 3:1 ვინისიოსი (66), 4:1 რამოსი (85)
**კრუზეირო:** ანდრე, ნენემი, კრისი, ლუიზაო, სორინი, მონტეირო (ჯექსონი 46), ვინისიოსი, ვაგნერი, რიკარდინიო (მარკოს პაულუ 65), ოსეასი (მ. რამოსი 70), ჟოვანი
**ელ ნასიონალი:** ჯ. იბარა, კორონელი, გუაგუა, ბ. გომესი (დური 46), რ. ბურბანო (კ. პრესიადო 72), ხ. ბურბანო, კალა (მორალესი 76), დ. ერერა, მ. კონტრერასი, ორდონესი, ა. ფერნანდესი
13 940 მაყურებელი

# წავიდა და გადავიდა

**სამშაბათს** შოტლანდიურმა „რეინჯერსმა“ განაცხადა, რომ კლაუდიო კანიჯასთან ორწლიან კონტრაქტზე შეთანხმებას მიაღწია, თუმცა მას მერე, რაც არგენტინელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა, გლაზგოში ისიც თქვეს, ორიოდ საკითხი კიდევ დაგვრჩა გასარკვევიო. ამასობაში „დანდის“ თავდამსხმელი, დარჩენილი ერთი მატჩის მიუხედავად, სამშობლოში გაემგზავრა და ბრიტანეთში დაბრუნებას ივნისის ბოლოსღა გეგმავს, მანამდე კი საქმეებს მისი აგენტი მოაგვარებს. როგორც ვარაუდობენ, „რეინჯერსი“ ნემსაძისა და ხიზანიშვილის „დანდის“ ამ გარიგების საფასურად მილიონ გირვანქას გადაუხდის.

„მადლობას ვუხდი „დანდის“, რომელმაც ფეხბურთში დაბრუნების შანსი მომცა. ამ კლუბში თავს მშვენივრად ვგრძნობდი, გულშემატკივრებმაც გადასარევად მიმიღეს, თუმცა ახლა დიდ კლუბში თამაში მინდა და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ“ — თქვა 1990 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა.

გაგვყიდა კანიჯამ და დიდ ფულს დახარბდაო — გაიგონებთ დღეს დანდიში, თუმცა 34 წლის ვეტერანი ამას უარყოფს: „ფული და კომფორტი აქ არაფერ შუაშია. მხოლოდ ეს რომ მდომოდა, იაპონელები, ამერიკელები და საუდელი არაბები გაცილებით მეტს მთავაზობდნენ და იქ წავიდოდი. უბრალოდ, დიდ კლუბში და დიდ ფეხბურთში დაბრუნება და, შესაბამისად, ახალი ჯილდოების მოპოვება მსურს. „რეინჯერსი“ ჩემპიონთა ლიგაში გადის, ეს კი ის ტურნირია, რომელშიც თავის გამოჩენა და არგენტინის ნაკრების თავკაცთა ყურადღების კვლავ მიპყრობა შეიძლება. მე მესმის დანდელთა იმედგაცრუება, მაგრამ მათაც უნდა გამიგონ“ — ამბობს კანიჯა, ვისი ხელფასიც „რეინჯერსში“, წინასწარი შეთანხმებით, კვირაში 20 ათასი გირვანქა იქნება.



კლაუდიო კანიჯა

დიეგო მარადონას ძმაკაცი „დანდიმ“ შარშან ოქტომბერში გადაიბირა. მას მერე ამ კლუბის რიგებში კლაუდიომ 7 გოლი გაიტანა, აქედან თითო-თითო „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ კარში. სწორედ ამ თამაშებში შენიშნა დიკ ადვოკაატმა, რომ არგენტინელი ჯერ კიდევ ჩინებულ ფორმაშია და მოლაპარაკებებმაც არ დააყოვნა. „კანიჯას უმაღლეს დონეზე თამაშის უდიდესი გამოცდილება აქვს და ჩვენც ეს გვჭირდება“ — თქვა „რეინჯერსის“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, რომელიც წარუმატებელი სეზონის მერე გუნდის გადახალისებას აპირებს: სხვა მრავალთაგან ბოლო დღეებში იმასაც ამბობენ, შესაძლოა ადვოკაატმა თვისტომი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი იტალიურ „პარმას“ ფრანგ ალენ ბოგოსიანში გაუცვალოსო, თუმცა ჰოლანდიელი ნახევარმცველის ყიდვა „ჩელსისაც“ სურს, თურქ თუგაი ქერიმოღლუს კი ინგლისურ პრემიერლიგაში დაბრუნებულმა „ბლექბერნმა“ დაადგა თვალი.

ისე, „დანდიდან“ კანიჯას წასვლა, შესაძლოა, კარგიც იყოს გიორგი ნემსაძისთვის — ქართველის ერთადერთი რეალური კონკურენტი კლუბის წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებაზე ხომ მხოლოდ კანიჯა იყო. არა გვგონია, აწი დანდელმა ფანობამ ხმა არგენტინელს მისცეს, თუმცა ყველაფერი ამ დღეებში გაირკვევა.

**გიგა ძოგახიძე**

# პატივი მერდოკს, მილიონი ბოიდს



ბობი მერდოკი

**ინგლისის** ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გუშინწინ გლაზგოში შოტლანდიის ჩემპიონი „სელტიკი“ 2:0 დაამარცხა. 57 ათასი მაყურებლის თვალწინ ორივე გუნდის ფეხბურთელები შავი სამკლაურებით თამაშობდნენ, რითაც პატივი მიაგეს ამ დღეებში გარდაცვლილ ბობი მერდოკს, „სელტიკისა“ და „მიდლსბროს“ ყოფილ ფეხბურთელსა და მწვრთნელს. მერდოკი „ლისაბონელ ლომთაგან“ ერთ-ერთი იყო. პორტუგალიის დედაქალაქში მოიპოვა 1967 წელს „სელტიკმა“ ბრიტანულ გუნდთაგან პირველმა ევროპის ჩემპიონთა თასი და ამაში თავისი წვლილი 56 წლის ასაკში გარდაცვლილმა ნახევარმცველმაც დაიდო.

თუმცა სამშაბათს შეხვედრა ექს-სელტიკელის ხსოვნისა არ იყო. არც ბრიტანული სუპერთასი დაუწესებია ვინმეს. უბრალოდ, გლაზგოურმა კლუბმა კუნძულზე მიღებული ადათ-წესით თავის ერთგულ მცველს და ახლანდელ კაპიტან ტომი ბოიდს ბენეფისი მოუწყო და ამ მატჩის მთელი შემოსავალი — არც მეტი, არც ნაკლები, მილიონი გირვანქა — მას გადასცა.

ორი ქვეყნის ჩემპიონი, ორი პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელები (ლარსონი და შერინგემი) — მეტი პარკჰედელ ფანობას რაღა უნდა ენახა. თამაშიც ისეთი გაჩაღდა, ლამის წლის დასაწყისში გაჩემპიონებულ გუნდებს კარგა ხანი რომ არ უჩვენებიათ. არც დაზოგვა იყო და არც კოჭის გორება. მასპინძლები უძლიერესი შემადგენლობით წარსდგნენ, შეძლებისდაგვარად ასევე მოიქცა ალექს ფერგიუსონიც — ყოველ შემთხვევაში, ის ჭაბუკები, ჩემპიონატის ბოლო ტურებში რომ ათამაშებს, ამჯერად არ უთამაშებია. ერთი ეგ იყო, კარში ვან დერ გოუ ჩააყენა, რომელიც მოგვიანებით ექს-რეინჯერსელი ვეტერანით, ენდი გორამით შეცვალა და ასევე შეცვლაზე ახალწვეული შვედი ბოიან ჯორჯიჩი ათამაშა. სწორედ იუგოსლავიური წარმოშობის თავდამსხმელმა გაიტანა მეორე გოლი, პირველ ტაიმში კი მასპინძელთა კარი სილვესტრმა აილო ბექემის ჩვეული ჩაწოდების შემდეგ. თავის გამოჩენა სქოთთა ჩემპიონებსაც შეეძლოთ, მაგრამ სტუმართა ბებერ მეკარეებს ვერაფერი დააკლეს. საბოლოოდ, ფერგიუსონის ხელმძღვანელობით „იუნაიტედმა“ მსგავს გლაზგოურ მატჩებში პირველად იმარჯვა.



ტომ ბოიდი

თუმცა მთავარი გამარჯვებული, ცხადია, ტომი ბოიდი გახლდათ.

**გიგა ძოგახიძე**



ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გლაზგოში პირველად იმარჯვა

# ეტყობა, გავჭაღარავდი... კოლინასაც ჰყავს მსაჯები — ქალები

*მას ყველა იცნობს. თავისი ფანტომასური შეხედულებით უხერხულიც არის პირველი ნახვისთანავე ვერ დაიმახსოვრო. თუმცა 41 წლის პიერლუიჯი კოლინა ფეხბურთის ისტორიაში გარეგნობის გამო არ შესულა. აღიარება ცოდნით, სამართლიანობით და პრინციპულობით მოიპოვა. ახლახან ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ კოლინა ზედიზედ მესამედ დაასახელა მსოფლიოს საუკეთესო არბიტრად.*

*როგორია ის?*

*ჩვეულებრივიც არის და არაჩვეულებრივიც. 188 სანტიმეტრი სიმაღლისაა, განათლებით ეკონომისტი, იტალიურის გარდა იცის ინგლისური, ფრანგული და ესპანური ენები. ჰყავს მეუღლე და ორი გოგონა.*

*კიდევ რა, საკალათბურთო კლუბ „ფორტიტუდოს“ თავგადაკლული ქომაგია. 1977 წლიდან მსაჯობს. გაძღოლია ატლანტის ოლიმპიადის, საფრანგეთის მსოფლიოსა და ბელგია-ჰოლანდიის ევროპის ჩემპიონატების მატჩებს.*

*მის პროფესიონალიზმში წინაკვირასაც დავრწმუნდით, როცა „ინტერ“ — „მილანის“ დერბი იმსაჯა. თუმცა, სხვა შემთხვევებიც გახსოვს, მაგალითად, ჰოლანდია — ჩეხეთის მატჩი ევრო 2000-ზე და ძალიან საეჭვო პენალტი ჩეხთა კარში, რომელმაც ფაქტობრივად ამ გუნდის მომავალი დაანგრია...*

*გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც კოლინამ იტალიური „კორიერე დელა სერას“ კორესპონდენტს ჯანკარლა გიზის მისცა.*



პიერლუიჯი კოლინა

**— მსაჯობა როდის გადაწყვიტეთ?**

— შემთხვევით მოხდა. ჭაბუკობაში ფეხბურთს ვთამაშობდი. ბოლონიის „პალავიჩინის“ ლიბერო გახლდით. ერთხელაც მეგობარმა სამსაჯო კურსებზე ჩაწერა შემომთავაზა. მერე თვითონ თავი დაანება, მე კი დღესაც მინდორზე ვარ.

**— 2000 წლის 14 მაისი გავიხსენოთ. „პერუჯა“ — „იუვენტუსის“ მატჩში იტალიის ჩემპიონი უნდა გარკვეულიყო. საშინლად წვიმდა. თქვენ ერთ ხელში ბურთი გეჭირათ, მეორეში ქოლგა. მინდორზე იმხელა გუბეები იდგა, ბურთი ოდნავადაც ვერ ხტუნავდა. რაზე ფიქრობდით ამ დროს?**

— იმ მატჩზე ძალიან ბევრი ილაპარაკეს, ზედმეტიც კი. ვერასოდეს გავიზიარებ იმ აზრს, თითქოს პერუჯული შეხვედრის ჩამთავრება ვიღაცამ მიკარნახა, ან უფრო უარესი — დამავალა. ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მსაჯები მარიონეტები არიან და ყველა მათ მართავს. მსაჯობა ჰობი არ გახლავთ, პროფესიაა. ყოველი მატჩისთვის მთელი სერიოზულობით ვემზადებით, რადგან ერთობ საპასუხისმგებლო საქმეა. ხოლო პერუჯულ მატჩზე კი ამას გიპასუხებთ. არსებობს ვიდეომასალა, სადაც ყველაფერი კარგად ჩანს. ხოლო თამაში საკუთარი ნებით გავაგრძელე.

**— მინდორზე გასვლისას ყოველთვის თავდაჯერებული ჩანხართ...**

— ეს უბრალოდ ყურადღებიანობაა. ეს სიტყვა ჩვენი პროფესიის უმთავრეს აზრს გამოხატავს. მსაჯი მინდორზე ყოველმხრივ მომზადებული უნდა გაღიოდეს. ცხადია, ცუდი დღეები არბიტრებსაც აქვთ. შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს — ეს ხომ ადამიანის თანმდევი თვისებაა.

**— მოთამაშეებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ვფიქრობ, ერთმანეთის უნდა გვჯეროდეს და პატივს ვცემდეთ. სწორედ ასეთი დამოკიდებულება დაგვეხმარება საკუთარი თავის უკეთ გამოხატვაში. ცხადია, ზოგჯერ შეიძლება ზედმეტიც გაკადრონ, მაგრამ ყველაზე ცუდი მაინც სიმულაციაა. უხეშობის შემყურეს კი ყოველთვის გული მწყდება ხოლმე. ხომ შეიძლება ადამიანი მძიმედ დაშავდეს, ჯამში კი მთლიანად ფეხბურთი ზარალდება.

**— მინდორს როგორი განწყობით ტოვებთ?**

— მჯერა ხოლმე, რომ რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ჩვენი პროფესია სულ უფრო რთულდება. თუ რომელიმე გადაწყვეტილებას მერე არასწორად მიიჩნევენ, მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელებთან მსურს ხოლმე ამაზე ლაპარაკი. არადა, ერთი და იგივე კითხვით უამრავი ადამიანი მაბეზრებს თავს.

**— ორშაბათობით, ალბათ გაზეთებს ცნობისმოყვარეობით ფურცლავთ. იქ ხომ წინა ტურის ამბები და შეფასებები წერია...**

— რა თქმა უნდა. არ მოგატყუებთ და მართლაც მაინტერესებს. ვკითხულობ კომენტარებს. მერე ვიდეოფირს ჩავუჯდები ხოლმე. ხანდახან რამდენჯერმე ვუყურებ.

**— ზედიზედ მესამედ დაგასახელეს მსოფლიოს საუკეთესო არბიტრად. ეს რას ნიშნავს?**

— ალბათ იმას, რომ ვბერდები. სერიოზულად კი ძალიან მსიამოვნებს, მით უმეტეს, როცა შეიტყობ, რომ მთელი მსოფლიოს სპეციალისტებისგან შემდგარმა ჟიურიმ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო.

**— უცხოელ გულშემატკივრებს რატომღა მოსწონხართ?**

— ვფიქრობ, ეს საერთოდ იტალიელ მსაჯებს ეხება და ჩვენი ფეხბურთის პოპულარობაზე მიუთითებს. გულშემატკივრებისგან მართლაც ყოველდღე ვიღებ წერილებს. ინტერნეტში კი ორი არაოფიციალური ვებ-გვერდი არსებობს, სადაც ჩემი გვარიც წერია. ერთი ჰოლანდიურია, მეორე ინგლისური.

**— მოთამაშეები ამბობენ, რომ ძალიან მკაცრი ხართ.**

— შესაძლოა მართლებიც არიან. არა მგონია, შინაგანად განსაკუთრებით მკაცრი ვიყო. ეტყობა მათზე ჩემი შესახედაობა მოქმედებს.

**— ამბობენ, გაუმართლებელი სიყვარულის გამო გამელოტდაო, მართალია?**

— არა. 1984 წელს გავმელოტდი. მაშინ, შეიძლება დავკომპლექსებულიყავი კიდეც, მაგრამ ახლა ასეთი გარეგნობა მოდაშია.

**— თანამედროვე ტექნოლოგიებს შეუძლია არბიტრის დახმარება?**

— 1997 წელს პორტუგალიაში გამართულ უეფას ერთ-ერთ სხდომაზე ვთქვი, კარგი იქნებოდა ისეთი ხელსაწყო გამოგვეგონა, რომელიც ასპროცენტიანი გარანტიით განსაზღვრავდა, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. მაგრამ დღემდე მსგავსი არაფერი გაკეთებულა.

**— რომელი სამსაჯო ჟესტის გამოყენება არ გიყვართ?**

— ყვითელი ბარათის ამოღება მაშინ, როცა მოთამაშე გატანილ გოლს ზეიმობს. მინდორზე ხალხს უხარია, შენ კი ყველაფერს გარედან და ცივად უნდა უყურო...

**— ნუთუ მართლა არ გაქვთ არანაირი სისუსტე?**

— რატომაც არა, მაგალითად, ჩემს გოგონებს შეუძლიათ გამაკეთებინონ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ.

## კოსმოპოლიტური მიმოხილვა

**მეტსახელები!** ნეტავ თუ არსებობს ამ თემაზე შესრულებული დისერტაცია? ალბათ, არა. არადა, რა საინტერესოა! აი, მაგალითად, რატომ არქმევენ საქართველოში ერთმანეთს თავგასას, სკილეტას და სიკვდილას? იტალიაში ანტონიო — ცხელი მაკარონი, ჯიჯი — სამი გვამი და ალფრედო — კბილში გაჩხერილი პიცა უფრო შეგვხვდება, ხოლო ინდიელები ერთმანეთს ასე ეძახიან: ელამი ქორი, დიდი ტარაკანი და კეთილი ბიზონი. თუმცა არა, ტარაკანი არ იქნება, იმიტომ, რომ ტარაკანი, საზოგადოდ, მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების მოყვარულია და უფრო ბაქო-ჯეიჰანში უნდა ვეძებოთ.

თუმცა, ეს არ არის მთავარი. ჩვენთვის მთავარი საფეხბურთო მეტსახელებია.

საფეხბურთო მეტსახელებზე ფიქრის დროს, რატომღაც თავში პირველი ისევ და ისევ იტალია, მისი სერია A და იქაური საეჭვო ორიენტაცია მოდის. საეჭვო ორიენტაცია რატომ ვახსენეთ? აი, რატომ: შეგახსენებთ მხოლოდ და მხოლოდ ორ გუნდის მეტსახელს და ყველაფერი ნათელი გახდება. „იუვენტუსს“ ჰქვია „ბებერი ქალბატონი“, ხოლო „ფიორენტინას“-ია.

აი, ია ანუ აი, „ფიორენტინა“!

და „ბებერი ქალბატონი“ რაღა ჯანდაბაა? ალბათ, ინძაგის ეუბნებიან შე ძველოო.

„ბებერი ქალბატონის“ ეშხით, ერთმა ქართველმა ამხელა გუნდს კლარა კანკალიანციც კი უწოდა. და ახლა წარმოიდგინეთ, ამ თემაზე ორი ან სამი ქართველი რომ დაფიქრებულიყო.

ჩვენთვის, ქართველებისთვის ყველაზე გასაგები მაინც „მილანის“ მეტსახელია და, ალბათ, ამიტომაც მივავლინეთ იქ ჩვენი კაცი. „შავ-წითლები“ — ასე უწოდებენ იტალიელები „მილანს“. ოღონდ, ნუ იკითხავთ, „შავ-წითლებთან“ ჩვენ რა შუაში ვართო. გადით ბატონო, ქუჩაში და ვინც შეგხვდებათ, ან შავია ან წითელი. ექსნიკოფსიიდან ექსდარუბანდამდე სხვა ფერი არ არსებობს.

მაგრამ ჩვენ, აჯობებს ისევ იტალიელთა ორიენტაციას თუ დავუბრუნდებით. გახსოვთ, რა ჰქვია იტალიის ნაკრებს? „სკუადრა აძურა“ ანუ „ცისფერი გუნდი“. კიდევ სჭირდება ამ ამბავს კომენტარი?!

მეტსახელებში ყველაზე დალოცვილი ხალხი ბრაზილიელები არიან. სწორედ მათ აჩუქეს ქვეყანას ფეხბურთის მეფე (მარადონას გულშემატკივრებთან ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ახლა ასე გვჭირდება), რომელსაც რა შეარქვეს? პელე! და რას ნიშნავს პელე? ეს თვით პელემაც არ უწყის. ბოლოს, რაც მოიფიქრა, ის იყო. პელე ალბათ, ბგერების ერთობლიობაა და მეტი არაფერიო. ესე იგი, ჩემო ძვირფასო საფეხბურთო სამყაროვ, შენ გყავს მეფე, რომლის სახელი უბრალოდ ბგერების ორმარცვლიანი ერთობლიობაა: პე — ლე.

ახლა, პელეს ქომაგებს რომ არ ეწყინოთ: არგენტინელებმა მარადონას საერთოდ ვერაფერი შეარქვეს, რაც მათ ფანტაზიის ნაკლებობაზე მეტყველებს. არადა, რა ძნელი საქმე ეს იყო: დაერქმიათ რამე კოკაინთან დაკავშირებული, ვთქვათ, კოკა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა. კაცმა რომ თქვას, არც ქართული თავგასა იქნებოდა ურიგო.

აი, ძალიან კარგია „გალათასარაის“ მეტსახელი „ჯიმ, ბომბომ“.

მისი მიბაძვით ჩვენ შეგვიძლია საქართველოს ნაკრებს შევარქვათ „ბახ! ვახ-ვახ“.

„მანჩესტერ იუნაიტედს“, მოგეხსენებათ, „წითელ ეშმაკებს“ ეძახიან. ზუსტად ასევე ჰქვია ბელგიის ნაკრებს. იქამც იყვნენ, ანუ მეოთხედფინალში.

კიდევ, საფეხბურთო მეტსახელებს შორის ხშირია „მეფის“ სხვადასხვა ვარიანტი. მაგალითად, ფრანც ბეკენბაუერს „კაიზერ ფრანცი“ შეარქვეს, ხოლო მადრიდის „რეალს“ „სამეფო კლუბი“. ძალიანაც კარგი, ამით ჩვენც შეგვიძლია ვისარგებლოთ და რომელიმე ქართულ მოვლენას — ანუ ერთეულს ვუწოდოთ ზაქიჭამია ან სულაც „ავ გიორგი“.

თემა ხომ ამოუწურავია.

**ბაჩუნა ძიდია**

**ეძღვნება საქართველოს ხელისუფლებას: წადი, წადი, სანამ დროა...**



აი, კოკა, აი პე—ლე

# უდაბლესი, უმსუბუქესი, უძვირფასესი აივერსონი



REUTERS

**ალენ აივერსონი**

დაიბადა ვირჯინიის შტატის ქალაქ ჰემპტონში
სიმაღლე: 183 სმ.
წონა: 76 კგ.
ამპლუა: გამთამაშებელ-მსროლელი
უნივერსიტეტი: ჯორჯთაუნი
1996 წლის დრაფტში აირჩია „ფილადელფიამ", დღემდე იქაა
1996-97 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა
1998-99 და 2000-01 წლების სეზონების საუკეთესო ბომბარდირი
2001 წლის ოლ სტარის უძვირფასესი მოთამაშე
2000-01 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშე

**ამას** ყველა ან თითქმის ყველა ელოდა. ასე რომ, 15 მაისს „ფილადელფია სიქსერზის" მსროლელი ალენ აივერსონი 2000-01 წლების სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ რომ დაასახელეს, არავის გაჰკვირვებია. გამოკითხვაში 124 ამერიკელი და კანადელი კალათბურთზე მწერალი ჟურნალისტი მონაწილეობდა, რომელთაგან თითოეულს უნდა დაესახელებინა მისი აზრით ხუთი რჩეული ადგილების მიხედვით და მათთვის მიენიჭებინა ქულები შემდეგი სისტემით: პირველადგილოსანს — 10 ქულა, მეორეს — 7, მესამე — 5, მეოთხეს — 3 და მეხუთეს — 1. აივერსონმა 1240 შესაძლებლიდან 1121 ქულა მიიღო. 124-მავე ჟურნალისტმა იგი ხუთეულში შეიყვანა, 93-მა კი პირველი ადგილი მიაკუთვნა. აივერსონმა შორს მოიტოვა ძირითადი კონკურენტები. მეორეადგილოსანმა სანანტონიოელმა ტიმ დანკანმა 18 პირველი ხმა და 706 ქულა მიიღო, შარშანდელ უძვირფასესს, შაკილ ონილს, რომელსაც გასულ წელს 121 გამოკითხულიდან 120-მა პირველი ხმა მისცა, ამჯერად მხოლოდ შვიდი პირველი ხმა, 578 ქულა და შესაბამისად მესამე ადგილი ერგო. შემდეგ მოდიან საკრამენტოელი კრის ვებერი (5 პირველი ხმა, 521 ქულა) და მინესოტელი კევინ გარნეტი (ერთი პირველი ხმა, 151 ქულა).

„ბედნიერი ვარ, თუმც ვერ ვიტყვი, რომ გამოკითხვამ გამაკვირვა. მთელი ცხოვრება ამაზე ვოცნებობდი და აქეთ მოვისწრაფვოდი. ეგაა, ყოველთვის უძვირფასესივით ვერ ვიქცეოდი. ნურც გაგიკვირდებათ, ოცი წლისას ოცდაათისად ყოფნას მთხოვდნენ, მეც, ცხადია, სრულყოფილებისგან შორს ვიდექი, თუმც ყოველთვის ვშრომობდი და აი, დღეს უძვირფასესი ვარ" — აივერსონი თითქოს ელოდა კიდეც ამას, ასე რომ, როდესაც ნბა-ს პერსონალურ ჯილდოთაგან უპრესტიჟულესი მისი საკუთრება გახდა, სულაც არ განცვიფრებულა, სიხარულით კი, ცხადია, გაიხარა. ჯილდოს მისაღებად იგი შვილთან და მწვრთნელ ლარი ბრაუნთან ერთად გამოცხადდა და რაოდენ დიდი იყო იქ დამსწრე საზოგადოების განცვიფრება, როდესაც გახარებულმა აივერსონმა თავის დამრიგებელს კალთაში ჩაჯდომა შესთავაზა და მანაც სიამოვნებით შეასრულა შეგირდის თხოვნა. ერთი წლის წინ ასეთ რამეს ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან მასწავლებელ-მოსწავლე ერთმანეთთან კატა-ძაღლივით იყვნენ. თავნება შეგირდის თავხედობით და თავგასულობით მობეზრებულმა ბრაუნმა „ფილადელფიის" ბოსებს ლამის აივერსონის გაცვლა სთხოვა. მადლა საბედნიეროდ, ორივე მხარემ გამონახა საერთო ენა და 15 მაისს აივერსონიც და ბრაუნიც განუყრელი მამაშვილივით ლაღობდნენ და ანცობდნენ. „ძალიან მიხარია, რომ უძვირფასესი ალენი გახდა. ის ფენომენალურ ნიჭს ფლობს და ყოველთვის ასე იყო, მხოლოდ წლეულს იგი უფრო მეტად იყო პროფესიონალი, ვიდრე სხვა დროს. იგი იმსახურებდა ამ ჯილდოს და სულით და გულით ვულოცავ" — თქვა ბრაუნმა.

აივერსონის უძვირფასესობაში ბატონ ბრაუნს მოზრდილი წილი უდევს, მიუხედავად იმისა, რომ მას ალენისთვის კალათბურთის თამაში არ უსწავლებია, უბრალოდ, შეგირდის ნიჭს გაუკვალა გზა უძვირფასესობისკენ და აივერსონი აქცია პროფესიონალად, რომელიც ბევრი ქულის გაკეთებასთან ერთად ბევრ თამაშსაც იგებს. „მიხარია, რომ დღეს მან თავად იცის, რისი კეთება ჯობია და როგორ. იგი მკვეთრად შეიცვალა. ახლა ალენი მარტოოდენ გუნდის საუკეთესო მოთამაშე აღარაა, იგი დიდი თანაგუნდელიცაა, რომელიც საერთო საქმისთვის იღწვის" — ესეც ბრაუნის სიტყვებია.

აივერსონი უნიკალურია თუნდაც იმიტომ, რომ მასზე დაბალ კალათბურთელს არ სჭერია სეზონის უძვირფასესი მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი. 1957 წლის რჩეული 186-სანტიმეტრიანი ბობ კოუზი დღემდე რჩებოდა ერთადერთ 190 სანტიმეტრზე დაბალ უძვირფასესად. აივერსონი კი მასზე სამი სანტიმეტრით დაბალია, ამასთან იგი ყველაზე მსუბუქიცაა, ოდენ 76 კილოგრამს იწონის, ოთხით ნაკლებს, ვიდრე კოუზი იწონიდა. ამიტომ, რაკი ეს „ჯუჯა" კალათბურთელი ჩვენი დროის ისეთ გიგანტებს ჯობს, როგორებიც არიან შაკილ ონილი, ტიმ დანკანი და კრის ვებერი, ესე იგი ის მართლა საუკეთესოა.

აივერსონი სწორუპოვარი სნაიპერი არ გახლავთ. კი, სროლა კარგი აქვს, მაგრამ მასავით კარგად ნბა-ში არაერთი ათეული ისვრის. აივერსონის მთავარი იარაღი სისწრაფეა. შესაძლოა, ის ყველაზე სწრაფია მათ შორის, ვისაც კი ოდესმე კალათბურთი უთამაშია. პატარა ტანი და დიდი საწყისი სიჩქარე მას თითქმის მოუხელთებელს ხდის და მის შესაჩერებლად მინიმუმ ორი-სამი კაცია საჭირო, რადგან პერსონალურ მეურვეს იგი ყოველთვის გაექცევა. ხოლო მას შემდეგ, რაც აივერსონმა ეული მგელივით „წანწალს", მარტო თამაშს თავი ანება, დაჭკვიანდა და გუნდის ინტერესების დაცვას მიჰყო ხელი, ორმაგად საშიში გახდა. მისი წყალობით „ფილადელფიამ" ბოლო 18 წელში პირველად მოიგო აღმოსავლეთ კონფერენციაში რეგულარული ჩემპიონატი და ჩემპიონობაზეც თვალი უჭირავს.

ხშირად სტატისტიკას არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ის მხოლოდ აივერსონის სასარგებლოდ მეტყველებს. ამ სეზონში მან მატჩში საშუალოდ 31,1 ქულა, მოიხვეჭა და ბოლო სამ სეზონში მეორედ გახდა სეზონის უპირველესი ბომბარდირი. საშუალოდ მატჩში 31,1 ქულა ხუმრობა არ გეგონოთ. ბოლო ათი წლის განმავლობაში მის გარდა მხოლოდ მაიკლ ჯორდანს გადაუბიჯებია 30-ქულიანი ზღვარისთვის. მან წლეულს 17 თამაშში 40-ქულიანი თამასაც გადალახა. გარდა ამისა, აივერსონი ლიგაში საუკეთესო ჩამჭრელიცაა. წლეულს ყოველ მატჩში საშუალოდ ორნახევარჯერ პარავდა ბურთს მეტოქეებს. მისმა გუნდმა „ფილადელფიამ" 82 თამაშიდან 56 მოიგო და აღმოსავლეთში ყველას აჯობა, ლიგაში საუკეთესო „სან ანტონიოს" კი ორი გამარჯვებით ჩამორჩა. ასე რომ, აივერსონი საუკეთესოა სტატისტიკის თანახმადაც.

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ 2000-01 წლების სეზონი ერთობ ბარაქიანი გამოდგა „ფილადელფიისთვის". აივერსონი უძვირფასესი გახდა, ცენტრი დიკემბე მუტომბო საუკეთესო დამცველად აღიარეს, აარონ მაკკი კი საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ შერაცხეს. ჯერაც წინაა სეზონის საუკეთესო მწვრთნელის გამოკითხვა და თუ მასში ლარი ბრაუნმა იმარჯვა, რაც სავსებით რეალურია, „ფილადელფია" გახდება პირველი გუნდი, რომელიც სეზონის ექვსი უმთავრესი ჯილდოდან ოთხს თავად დაიუნჯებს.

**იმანე ძოზიაშვილი**

**NBA. პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)**

# მოსალოდნელი მოულოდნელობა

**აღმოსავლეთი**

15 მაისი

| | |
|---|---|
| მილუოკი | 2 |
| შარლოტი | 3 |

**მილუოკი 86:94 შარლოტი**

**მილუოკი:** რობინსონი (22), ალენი (20), ტომასი (15), კასელი (12)
**შარლოტი:** მაშბურნი (24), დევისი (19), ვესლი (15), კემპბელი (13 ქულა, 10 მოხსნა)

„მილუოკი ბაქსს" ბარე ორი თვე არ წაეგო შინ, „ბრედლი სენთერში", 15 მაისს კი ამ დარბაზის მითი დაამსხვრია წლევანდელი პლეი ოფის სენსაციამ, „შარლოტ ჰორნეთსმა", სერიაშიც ის დაწინაურდა. „მილუოკის" ზედიზედ სამჯერ მძლეველ შარლოტელთა მიერ მანამდე „მაიამის" 3:0 განადგურებას ოკეანგაღმა საკალათბურთო წრეებში მოულოდნელობად აღარ აღიქვამენ. ამ სერიაში დაწინაურების შემდეგ კი არც „კრაზანათა" აღმოსავლეთის ფინალში მოხვედრა იქნება გასაკვირი, მათ იქამდე ფრთის ერთი მოქნევაღა აშორებთ.

რაც შინ ორი მატჩი მოიგეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს, შარლოტელებმა საბრძოლო ტაქტიკა მკვეთრად შეცვალეს. რაოდენ დიდი იყო მილუოკელთა გაოცება, როდესაც მათ მეტოქე საკუთარ სახლში, მათივე იარაღით შეებრძოლა. „მილუოკი" ძლიერი უკანა ხაზითაა ქებული და ფარქვეშ მოიკოჭლებს, რაც მისი ორი შარლოტური მარცხის უმთავრესი მიზეზი გახდა. ამჯერად კი „შარლოტმა" ფარქვეშეთის ნაცვლად სწორედ პერიმეტრზე გაამახვილა ყურადღება, სადაც მილუოკელი „ხარირმები" თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. იმ ტაქტიკურ სქემაში, რომელიც მატჩამდე „ჰორნეთსის" მწვრთნელმა პოლ საილასმა შეგირდებს მოუხაზა, მთავარი რგოლი გამთამაშებელი ბაირონ დევისი გახლდათ, რომელსაც ბურთის გათამაშებასთან ერთად სროლაც დაევალა, და ამას გარდა დაცვაში მას მასპინძელთა მძლავრი მეპასე სემ კასელი უნდა შეეჩერებინა. დევისმა ყველაფერი შეასრულა (ესაა, ხანდახან ბურთის გათამაშებაში დევიდ ვესლი ეხმარებოდა) და რაც მთავარია, სემ კასელი შებოჭა, რისი წყალობითაც მილუოკელთა შეტევებს სიმძაფრე დაუკარგა. ამასთან, დევისმა გადამწყვეტი სროლებიც ჩააგდო და თავისიანთა გამარჯვებას სული შთაბერა.

დაბალ სტუმართა აქტიურობა მილუოკელებმა თავდაპირველად დროებით მანევრად ჩათვალეს და თავში ხელი მაშინღა შემოირტყეს, როდესაც მესამე მეოთხედში მეტოქეს 14 ქულით ჩამორჩნენ. „შარლოტი" „ბაქსს" იმავე ხერხით ამარცხებდა, რითაც მილუოკელებს თავი სწორუპოვარი ეგონათ, თან მათსავე კედლებში და ამას, აბა, როგორ დაუშვებდნენ. მასპინძლებმა ბოლო მეოთხედში მძლავრად გაიბრძოლეს და მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კასელის სამქულიანის შემდეგ სამ ქულამდე დაიყვანეს სხვაობა — 82:85. თუმც მომდევნო ორ წუთში სტუმარმა ჯამალ მაშბურნმა ორი სამქულიანი ჩააგდო, დევისმა იმ დღეს მეხუთედ მოათავსა კალათში სამიანი და „შარლოტი" 92:84 გაექცა სახიფათოდ დაახლოებულ მასპინძლებს, რომლებსაც ბრძოლის თავი აღარც ჰქონდათ.

სერიის მეექვსე შეხვედრას 17 მაისს „შარლოტი" უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში არსებობის მანძილზე პირველად გავა კონფერენციის ფინალში, სხვაგვარად — პლეი ოფის ნახევარფინალში.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS

ჯამალ მაშბურნი (მარცხნივ) და ედი რობინსონი მილუოკელ ტიმ ტომასს უფარებენ

## თურქეთი

### პლეი ოფი

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| დარუშაფაკა | 2 |
| ტროი | 0 |

**დარუშაფაკა 76:75 ტროი**

| | |
|---|---|
| ულქერი | 1 |
| გალათასარაი | 2 |

**ულქერი 90:95 გალათასარაი**

**ულქერი: აჩიკი (18), ილდირიმი (6), გოლიოვიჩი (11), ლოლისი (17), ჰენდლოგტენი (19), ერდენაი (13), სარიჯა (4), გონლუმი (2), ფაჩულია**

**გალათასარაი: ენე (14), ტოლბერტი (36), ვექილოღლუ (23), მუეძინოვიჩი (11), კული (5), გიორქემი (3), ოზმენი (3), თაბაი, ბითიმი**

მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩი გაიმართა თურქეთში „ულქერსა“ და „გალათასარაის“ შორის. ცხადია, რომ უპირველეს ყოვლისა ჩვენ „ულქერში“ მოთამაშე ახალგაზრდა ლეგიონერის, ზაზა ფაჩულიას გამოსვლა გვაინტერესებს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ შეხვედრაში მან ქულაც კი ვერ შესძინა თავის გუნდს.

მატჩის დებიუტი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და პირველი ათი წუთი „ულქერის“ მინიმლური უპირატესობით — 24:22 დასრულდა. ზაზას თანაგუნდელებიდან ფარქვეშ კარგი თამაშით ჰენდლოგტენი გამოირჩეოდა. ხოლო საშუალო მანძილიდან შედეგიანად აჩიკი ტყორცნიდა, მეტოქე გუნდიდან კი ზუსტი სროლებით ვექილოღლუ და ტოლბერტი პასუხობდნენ.

განახლდა თუ არა თამაში, მეორე სუნთქვა გაეხსნა ვექილოღლუს, რომელსაც თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა და მისი ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით მეორე მეოთხედში „გალათასარაიმ“ 27:24 იმარჯვა.

მომდევნო ათწუთეულში გუნდებს, შეიძლება ითქვას, სამიზნე გაუმრუდდათ და თამაში არ წაუვიდათ. შესაბამისად ეს შედეგზეც აისახა. „ულქერმა“ ერთქულიანი სხვაობით — 14:13 — აჯობა მეტოქეს. აღმოჩნდა, რომ საერთო ანგარიში გათანაბრდა 62:62 და ნერვების წყვეტაც დაიწყო. მეტოქეები ერთმანეთს ფეხდაფეხ მისდევდნენ და მეოთხე მეოთხედიც ფრედ — 16:16 დასრულდა.

დამატებითი დრო დაინიშნა. სწორედ აქ გამოჩნდა ტოლბერტი. იგი ყველგან იყო და თავისი კარგი თამაშით „გალათასარაის“ ხუთქულიანი სხვაობით — 95:90 მოაგებინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ესპანეთი

ACB

### XXXIII ტური

**კანარიასი — რეალი 81:76, ფორუმი — ბარსელონა 78:107, პამესა — ხიხონი 105:80, ფუენლაბრადა — კანტაბრია 89:60, ბრეოგანი — კასერესი 74:78, ესტუდიანტესი — ორენსე 84:71, კასაბლანკა — ხუვენტუდი 89:82, ხირონა — უნიკახა 75:82, ტაუ — კახა სან ფერნანდო 83:76**

### XXXIV ტური

**ბარსელონა — ხირონა 93:74, ორენსე — ფორუმი 95:74, კასერესი — ესტუდიანტესი 85:90, ხუვენტუდი — ბრეოგანი 59:77, ხიხონი — კოსტაბლანკა 89:71, კახა სან ფერნანდო — პამესა 91:57, რეალი — ტაუ 86:84, კანტაბრია — კანარიასი 86:83, უნიკახა — ფუენლაბრადა 96:71**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 34 | 29 | 5 | 3055:2613 | 63 |
| რეალი | 34 | 27 | 7 | 2788:2519 | 61 |
| ტაუ | 34 | 27 | 7 | 2888:2452 | 61 |
| უნიკახა | 34 | 27 | 7 | 2883:2582 | 61 |
| პამესა | 34 | 22 | 12 | 2760:2622 | 56 |
| ესტუდიანტესი | 34 | 21 | 13 | 2767:2698 | 55 |
| ფუენლაბრადა | 34 | 20 | 14 | 2752:2669 | 54 |
| ფორუმი | 34 | 16 | 18 | 2759:2795 | 50 |
| ხირონა | 34 | 15 | 19 | 2733:2797 | 49 |
| კასერესი | 34 | 14 | 20 | 2650:2732 | 48 |
| ბრეოგანი | 34 | 13 | 21 | 2696:2722 | 47 |
| სან ფერნანდო | 34 | 13 | 21 | 2605:2642 | 47 |
| კანარიასი | 34 | 12 | 22 | 2591:2808 | 46 |
| ხუვენტუდი | 34 | 11 | 23 | 2692:2820 | 45 |
| ხიხონი | 34 | 11 | 23 | 2643:2823 | 45 |
| კანტაბრია | 34 | 10 | 24 | 2484:2894 | 44 |
| კოსტაბლანკა | 34 | 9 | 25 | 2554:2846 | 43 |
| ორენსე | 34 | 9 | 25 | 2630:2869 | 43 |

### პლეი ოფი

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

**ბარსელონა — ფორუმი**
**რეალი — ფუენლაბრადა**
**ტაუ — ესტუდიანტესი**
**უნიკახა — პამესა**

*მეოთხედფინალები 19 მაისს დაიწყება*

# რატიანიძე ბეზიეში მეორიდან პირველში სამი წლით



ტარიელ რატიანიძე

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების 21 წლის მორკინალი ტარიელ რატიანიძე, რომელიც დღეს „ელიტ 2“-ის „მონტობნის“ ღირსებას იცავს, სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს და ელიტარული „ბეზიეს“ მაისურას მოირგებს.

„მოხარული ვარ, რომ ასეთი დიდი ტრადიციების მქონე კლუბის შემადგენლობაში ჩავირიცხე. „ბეზიეს“ ხელმძღვანელობამ მშვენიერი პირობები შემომთავაზა. მეც ბევრი არ მიფიქრია და სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. დიდი იმედი მაქვს, რომ „ბეზიესთან“ ერთად საფრანგეთის ჩემპიონი გავხდები“ — გვითხრა ტარიელ რატიანიძემ, როდესაც საფრანგეთში დავუკავშირდით.

რატიანიძის კონტრაქტი სამწლიანია, რომლის თანახმადაც კლუბი ვალდებულია, ქართველი მორაგბე ბინით, მანქანით და ხელფასით უზრუნველყოს. ამასთან, „ბეზიეს“ მთავარი მწვრთნელი ალენ იარდე ჩვენებურს ძირითად შემადგენლობაში ჰპირდება ადგილს. კონტრაქტის გაფორმებას ესწრებოდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი, შესაბამისად, ტარიელ რატიანიძის ინტერესებსაც იგი იცავდა.

„ბეზიეს“ უფროსობამ ახალგაზრდა ქართველი მორაგბე ჯერ კიდევ სეზონის წინ შეამჩნია, მაგრამ პირდაპირ თავისთან გადასვლა არ შეუთავაზებია და რატიანიძის გადაბირება სეზონის ბოლოს გადაწყვიტეს. ასე რომ, მომავალ პირველობაზე „ბეზიეს“ მაისურას ერთბაშად სამი ქართველი — გოდერძი შველიძე, ილო ზედგინიძე და ტარიელ რატიანიძე მოირგებს. „ბეზიეს“ თვალთახედვის არეში თედო ზიბზიბაძე და მალხაზ ურჯუკაშვილიც მოხვდნენ.

ტარიელს ერთ ფრანგული ტიტულის მოგება წლეულსვე შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომ „მონტობანი“ „ელიტ-2“-ის ჩემპიონატის ფინალში გია ლაბაძისა და ბესიკ ხამაშურიძის „ტულონს“ დაუპირისპირდება. გამარჯვებული „ელიტ 2“-ის ჩემპიონი გახდება და შესაბამისად უპირველესი ლიგის საგზურს მოიპოვებს. ნახევარფინალში „მონტობანმა“ „რუმიი“ დაამარცხა, რომელშიც კიდევ ერთი ქართველი, ეროვნული ნაკრების წევრი სოსო ნიკოლაენკო თამაშობს. იმ მატჩში საუკეთესო მოთამაშედ ტარიელ რატიანიძე დაასახელეს.

## გოდერძი შველიძე

ფრანგული ლიგის ერთ-ერთი გრანდის, „ბეზიეს“ შემადგენლობაში ორი ქართველი ირიცხება. გოდერძი შველიძე უკვე ორი წელია, „ბეზიეს“ ღირსებას იცავს, ილია ზედგინიძე კი სეზონის წინ შეუერთდა გუნდს. თუმცა, გოდერძისგან განსხვავებით, ილოს ფრანგული კარიერა ვერა და ვერ აეწყო.

23 წლის გოდერძი შველიძე კი ძირითადის უცვლელი წევრია, „გოდორას“, როგორც მას მეგობრები ეძახიან, თორმეტჯერ მოურგია ეროვნული ნაკრების მაისურა და ორჯერ დაულელოვებია მეტოქეები. მაგრამ მასთან საუბარი მაინც „ბეზიეს“ ამბებით დავიწყეთ.



# სტაბილური პირველი ნომერი

— მუდამ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ. პრაქტიკის არქონას არ ვუჩივი. ეგ არის, რომ ილოზე მწყდება გული. ბიჭი თავს არ ზოგავს და მწვრთნელმა შანსიც კი არ მისცა.

ჩვენი მწვრთნელი ალენ იარდე ცოტა სხვანაირი პიროვნებაა. მის პროფესიონალიზმში ეჭვი ერთი წუთითაც არ მეპარება, მაგრამ როგორც ყველა მწვრთნელს, თავისი რჩეული მორაგბეები ჰყავს. ილოს პოზიციაზე ერთი ფრანგი და ერთი ავსტრალიელი თამაშობენ. ის ფრანგი ადრე ალენ იარდეს თანაგუნდელი იყო და მეგობრული ურთიერთობაც აქვთ. ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ ილოს ნაკლებად აძლევს თავის გამოჩენის შესაძლებლობას, ვიდრე იმ ფრანგს, ან გნებავთ, ავსტრალიელს. არადა, როგორია, ილო ვარჯიშებზე თავს იკლავს, არც გამოცდილება და ოსტატობა აკლია, მაგრამ იარდე ჯიუტად არ ანდობს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. მე რომ მკითხონ, ილია ზედგინიძე ორივეს, ავსტრალიელსაც და ფრანგსაც სჯობს.

**— ამას ზედგინიძესთან მეგობრობა ხომ არ გალაპარაკებს...**

— არა, ღმერთმა დამიფაროს. სხვანაირად არ გამიგო, მაგრამ ჩვენს გუნდში მე-8 ნომერზე ილოზე იდეალური კანდიდატურა არ მეგულება. მას ისევე კარგად შეუძლია დაცვაში თამაში, როგორც თავდასხმაში. ეს კი დღევანდელ რაგბიში ბევრს ნიშნავს.

**— შენ თვითონ არ უნდა ემდუროდე ალენ იარდეს...**

— საყვედური ნამდვილად არ მეთქმის. ძირითადში ადგილი გარანტირებული მაქვს. ჩემს პოზიციაზე ერთი სამხრეთაფრიკელი და ერთიც ავსტრალიელია, მაგრამ კონკურენციას ვუძლებ და დამსახურებულად ვხვდები სასტარტო შემადგენლობაში.

**— ნომინალურად კვაჭი ხარ, მაგრამ „ბეზიეში“ რომელ პოზიციაზე გიწევს თამაში?**

— შერკინების მარცხენა ბურჯის პოზიციაზე. ამ ამპლუაში დაინახა ალენ იარდემ ჩემი პოტენციალი და სტაბილურად პირველ ნომერზე მათამაშებს. მეც ვგრძნობ, რომ ყველაზე მეტად ამ ადგილზე შემიძლია სარგებლის მოტანა.

**— არც პირობებს უნდა უჩიოდე...**

— არა, ეგ პრობლემაც არ მაწუხებს. ბინა, მანქანა, ნორმალური ხელფასი, მგონი, ურიგო არ უნდა იყოს. ისე, ბევრი ჩემზე დიდი მორაგბე ყოფილა, მაგრამ პირობების უქონლობის გამო უდროოდ დაუსრულებია კარიერა. მე ჯერ კიდევ 23 წლისა ვარ და კარგი შანსი მაქვს, დიდი რაგბი ვითამაშო.

**— საქართველოში რომ დარჩენილიყავი, ამის შესაძლებლობა ნაკლებად გექნებოდა.**

— ძალიან მწყდება გული, ჩემს სამშობლოში ასეთი მდგომარეობა რომ არის. საქართველოში სამი კლუბი გამოვიცვალე. თავიდან მშობლიური რუსთავი „აზოტის“ მაისურა მოვირგე, მერე ასკ-ში გადავედი, ბოლოს კი „ზორდას“ შემადგენლობაში ჩავირიცხე. სამივე კლუბს თითქოს მოწინავე პოზიციები ეკავა ქართულ რაგბიში, მაგრამ რად გინდა? არც ერთს გააჩნია ისეთი პირობები, აქ „ნაციონალ 2“-ის გუნდს რომ აქვს. უფულობა ქართული სპორტის აქილევსის ქუსლია, თუ დროზე არ გადაწყდება ეს საკითხი, ჩემი აზრით, წინ ველარ წავალთ. მე ძალიან გამიმართლა, საფრანგეთში რომ გავაგრძელე კარიერა, თანაც ახალგაზრდულ ასაკში. აქ ბევრი რამის სწავლა შეიძლება, როცა პირობები გაქვს, ვარჯიშის გარდა არაფერზე ფიქრობ.

**— შენი პროგრესი აშკარაა. ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლოდ სორელს გოდერძი შველიძე მომავლის მოთამაშედ ესახება.**

— ჩემთვის დიდი პატივია ეროვნულ ნაკრებში თამაში. თანაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ. მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ. ვნახოთ, გავამართლებ თუ არა იმედებს. პირადად ჩემზე რაც იქნება დამოკიდებული, გპირდებით, პირნათლად შევასრულებ, თავს არ დავზოგავ, ქართველი ხალხი რომ გავახარო.

**— შარშანდელთან შედარებით წლეულს ნაკლებად მოგეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობას ვგულისხმობ.**

— შარშან მევლუდ მთიულიშვილს ტრავმები აწუხებდა. სწორედ ამიტომ მოვხვდი ძირითად შემადგენლობაში. წლეულს მევლუდი მომჯობინდა, თუმც ჰოლანდიასთან თავიდანვე სასტარტო შემადგენლობაში დავიწყე თამაში, მერე პორტუგალიასთან და ესპანეთთან სათადარიგო ვიყავი. რუსებთან და რუმინელებთან ტრავმის გამო ვერ ვითამაშე. ესპანელებს ლელოც გავუტანე. ჩემთვის ეს ძალიან სასიხარულო ამბავი იყო, რადგან მშობლიურ რუსთავში, რუსთაველ გულშემატკივრის თვალწინ გამოვიჩინე თავი.

**— რუსთავი ახსენე და ნაკრეში ოთხი რუსთაველი თამაშობს. შენ, ლევან ცაბაძე, მევლუდ მთიულიშვილი და პალიკო ჯიმშელაძე...**

— ვხვდები, რასაც მეკითხები. არ აქვს მნიშვნელობა, სად ვართ, რუსთავში თუ აქ, საფრანგეთში. ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. ერთმანეთს რომ არ შევეხმიანოთ, რა გული მოგვითმენს. ამას წინათ ლევან ცაბაძეს შევხვდი. „ბეზიეს“ „კასტრთან“ ჰქონდა მატჩი. ეს თამაში ჩვენ მოვიგეთ. შეხვედრის შემდეგ მე და ლევანმა დიდხანს ვისაუბრეთ, სხვა ქართველი ლეგიონერების ამბებიც მოვიკითხეთ. ფრანგები გაკვირვებულები გვიყურებდნენ, ალბათ ფიქრობდნენ, ამდენი სალაპარაკო ნეტავ რა აქვთო. აქ რომ ჩამოვედი, მარტოობა არ მიგრძვნია, წარმოიდგინე, ხუთი ქართველი ვიყავით ერთად მაშინ „ბეზიეში“. მე, ვასილ კაცაძე, ბესიკ ხამაშურიძე, სანდრო ესაკია, კოტე ჯინჭარაძე. აბა, ამ ხალხთან ერთად მოსაწყენად მეცლებოდა? მერე ნელ-ნელა მიმოვიფანტეთ, ზოგი სხვა გუნდში წავიდა, ზოგმაც რაგბის თავი დაანება. შევრჩით ერთმანეთს მე და ილო ზედგინიძე. ღვიძლი ძმებივით ვართ.

**— სულ მალე უკვე მესამეც შემოგიერთდებათ, ტარიელ რატიანიძე თქვენი თანაგუნდელი გახდება.**

— ტატომ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჩვენს მწვრთნელს მისი ძალიან ეიმედება. რატიანიძე ერთ-ერთი ძლიერი მორკინალია მთელ საფრანგეთის ჩემპიონატში, ჩვენი სკაუტების თვალთახედვის არეში სხვა ქართველი მორაგბეებიც მოექცნენ. კერძოდ, „ბეზიეს“ ხელმძღვანელობას დიდი სურვილი აქვს, მალხაზ ურჯუკაშვილი და თედო ზიბზიბაძე გადმოიბიროს. ვნახოთ, რა გამოვა. ისე კი, ორივე მორაგბის თამაში ნანახი აქვთ და მათ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებათ.

**— ეს უკვე ქართული რაგბის აღიარებაა.**

— ვერ წარმოიდგენ, რამხელა რეზონანსი გამოიწვია აქ ჩვენმა წარმატებამ. სულ მეუბნებიან, იტალიელებმა იმიტომ მიაღწიეს წარმატებას, რომ კარგი პირობები აქვთ, თორემ მაგათზე სუსტი ნამდვილად არ ხართო. ნიჭისა და ოსტატობის ნაკლებობას არ განიცდით, ეგ არის, ფული რომ გქონდეთ, ვინძლო სულ მალე ბობოლები გაამწაროთო. მეც ამის იმედი მაქვს. იქნებ დადგეს საქართველო ფეხზე, ცოტა მოვძლიერდეთ და ვინძლო არც მსოფლიოს თასზე ჩვენი წარმატებული გამოსვლა იყოს მოულოდნელი.

**ბაჩო სვანიძე**



2001 წლის 17 მარტი. საქართველო — ესპანეთი. გოდერძი შველიძეს (ბურთით) ლელო გააქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

!

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და
თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## დიუნკერკის ოთხი დღე

AFP დიუნკერკიდან



სპრინტებში იან კირსიპუუს ბადალი არ ჰყავდა

# შვიდი ეტაპი ოთხ დღეში

**შეცდომა** არ გეგონოთ, ან არ იფიქროთ, დღეში ორ ეტაპს მართავენო, თუმცა არც მთლად უამისობაა. საფრანგეთის ჩრდილოეთში გამართულ ტურნირს „დიუნკერკის ოთხი დღე" ეწოდება, ექვსი დღე მიმდინარეობს და შვიდ ეტაპს მოიცავს, რადგან დასკვნით დღეს დილით გამართულ ინდივიდუალურ რბოლას ნაშუადღევს შეჯიბრის დამაგვირგვინებელი ჯგუფური რბოლა მოსდევს ხოლმე. საიდან მოდის სახელში ნახსენები ოთხი დღე, ზუსტად ვერაფერს გეტყვით. ისტორიას თუ ჩავუღრმავდებით, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ რამდენიმე ათეული წლის წინ ჩატარებული ტურნირი, რომელიც დიუნკერკისთვის პირველი იყო (წლევანდელი რიგით 47-ე გახლდათ), სწორედაც რომ ოთხ დღეს გრძელდებოდა, თუმცა ისტორიული სინამდვილის დადგენა, მით უმეტეს ველოსპორტში, ჩვენს მიზანს ნამდვილად არ წარმოადგენს, ამიტომაც ახალი საუკუნის პირველ „დიუნკერკის ოთხ დღეზე" საუბრით შემოვიფარგლოთ.

წლეულს საფრანგეთის ჩრდილოეთს საკმაოდ სახელიანი სპორტსმენები ეწვივნენ. ვინც ველოთი საკმაოდაა დაინტერესებული და მის სამყაროსაც მეტნაკლებად იცნობს, მშვენივრად ეცოდინება ისეთი ხალხი, როგორებიც ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი), რობერტო ერასი (ესპანეთი), დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი), სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია), იან კირსიპუუ (ესტონეთი), კრისტოფ მორო (საფრანგეთი) ანდა იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია) არიან. ჰოდა, მათ და კიდევ რამდენიმე დუჟინმა მრბოლმა დიუნკერკის მიმდებარე ადგილები დააფასეს და საკმაოდ ფიცხელი ბრძოლაც გამართეს.

მონაწილე გუნდებიდან უმეტესობა ისეთი იყო, წლევანდელ „ტურ დე ფრანსზეც" რომ გამოვა, რადგან „ტური" სწორედ ამ საპორტო ქალაქში დაიწყება, რომლის საფეხბურთო კლუბის ღირსებასაც კარგა ხანი იცავდა ჩვენებური გია გურული.

პირველი ეტაპის წინ პელოტონმა პირველი დანაკლისიც განიცადა. ბელგიელი ფრანკ ვანდენბრუკი ბრონქიტს შეუწუხებია და იგი სტარტზე ვერ გამოვიდა. პირველი შეტევა კი კრისტოფ ბასონის ანგარიშზეა, ოღონდ ფრანგი მალევე ჩაყლაპა პელოტონმა. სიძნელეების, შავი და კატების მთების მიდამოებში მეორე აბორიგენი დავიდ ლეფევრი დაწინაურდა ისე, რომ დანარჩენებს ყურიც არ შეუბერტყავთ. მისმა უპირატესობამ მე-100 კილომეტრზე ორ წუთსა და 20 წამს უწია, ოღონდ მერე მალევე დაეწივნენ.

ეს იყო და, წამსვე ედი სენიორი და პასკალ ლინო გაიჭრნენ წინ, მაგრამ ფინიშამდე 24 კილომეტრით ადრე მათაც კაპიტულაცია გამოაცხადეს. მერე ჟალაბერის მეცადინეობით პელოტონი სამ ნაწილად გაიხლიჩა და მოწინავე თორმეტეულმა მდევრებს 29 წამი მოუგო. მათგან საუკეთესო ბალტიისპირელი პეპელა კირსიპუუ გამოდგა, რომელმაც სპრინტში პირველობა არავის დაანება.

მეორე ეტაპის პირველ ნაწილში ოთხი ქვაფენილიანი მონაკვეთი გაიარეს მრბოლებმა. მათ სიახლოვეს მორომ რამდენიმე კაცი აიყოლია და შეუტია, თუმცა დიდ უპირატესობას ვერ მიაღწიეს ლტოლვილებმა და მალე დანებდნენ. შემდეგმა მოიერიშეებმა ხუთი წუთით ჩამოიტოვეს დანარჩენები, მაგრამ იტალიური „ალექსიასა" და ბელგიური „ლოტოს" წევრებმა სიჩქარე გაზარდეს და ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე პელოტონი ისევ გაერთიანდა, საფინალო სპრინტში კი უძლიერესი ისევ კირსიპუუ იყო.

შეტევები მესამე ეტაპზეც, რომელიც 10 მაისს გაიმართა, ბლომად იყო. ამათგან ყველაზე მეტად სენიორი გამოირჩა, რომელმაც ფინიშამდე 56 კილომეტრით ადრე თითქმის ათწუთიანი უპირატესობა მიიღო. მას ბოლომდე რომ გაეძლო, ეგებ 1994 წლის მსგავსად საბოლოო ჩათვლაშიც ეპირველა, მაგრამ „კოფიდისი" და „ფესტინა" სხვაგვარად ფიქრობდნენ და დაახლოებაც 25 კილომეტრის მერე ლტოლვილიც პელოტონს ჩაეხუტა. მერე ლორან ლეფევრმა სცადა ბედი, მაგრამ არც მას გაუმართლა. სპრინტში ამჯერად ამ საქმის ჩეხმა სპეციალისტმა იან სვორადამ ივაჟკაცა, საერთო ჩათვლის ლიდერის ვარდისფერი მაისურა კი კირსიპუუმ შეინარჩუნა.

მეოთხე ეტაპიც სპრინტით დასრულდა და გამოიცანით, ვინ მოიგო — იან კირსიპუუმ.

შაბათს ისევ გამოჩნდა ლორან ჟალაბერი, რომელმაც თავის ძმა ნიკოლასთან და კიდევ რამდენიმე მრბოლთან ერთად დღის მთავარი შეტევა განახორციელა. დაწინაურებულებმა დაახლოებით წუთით ჩამოიტოვეს პელოტონი, მაგრამ ისე შეთანხმებულად მოქმედებდნენ, უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. ლორანმა ფსონი ძმაზე დადო და მას იერიშის შანსი მისცა, მაგრამ ნიკოლას ფინიშამდე 300 მეტრით ადრე დიდიე რუ წამოეწია და ეტაპის პირველობასთან ერთად ვარდისფერი მაისურაც სწორედ მან მოიპოვა.

კვირას, როგორც უკვე გითხარით, ორი ეტაპი ჩატარდა. ინდივიდუალურ რბოლაში, ყველას გასაკვირად, რუმ იმარჯვა და ისეთი ხალხი ჩამოიტოვა, როგორებიც შარშანდელი „ტურის" პროლოგის მომგები მილარი და იმ „ტურისავე" მეოთხეადგილოსანი მორო არიან, რომ აღარაფერი ვთქვათ ლორან ჟალაბერზე. დასკვნითი ეტაპი სპრინტით და... კირსიპუუს გამარჯვებით დასრულდა, მთლიანად ტურნირის ჩემპიონი კი დიდიე რუ გახდა.

**გაგი გურული**

| საბოლოო ჩათვლა |
| --- |
| 1. დიდიე რუ (საფრანგეთი) 24სთ 11წთ 32წმ |
| 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +40წმ |
| 3. სტეფან ელო (საფრანგეთი) +1წთ 13 |
| 3. სედრიკ ვასერი (საფრანგეთი) +1წთ 14 |
| 5. ნიკოლა ჟალაბერი (საფრანგეთი) +1წთ 33 |

## რომანდიის ტური

# რომანდია ლომბარდიელს

**„ჯიროს"** დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ბევრმა მრბოლმა შვეიცარიაში გამართული „რომანდიის ტური" აირჩია ბოლო მოსამზადებელ პერიოდად. პფაფნაუდან, რომელიც ლუცერნის მახლობლად მდებარეობს, ჟენევამდე პელოტონმა ხუთ დღესა და ხუთ ეტაპად 719,3 კილომეტრი დაფარა და ბევრი საინტერესო ამბავიც მოხდა, რომლებზეც დაწვრილებით ვერ შევჩერდებით.

პროლოგი პაოლო სავოლდელიმ მოიგო, ვინც თავის თანამემამულე დარიო ფრიგოს ოდენ 0,83 წამით აჯობა 6,9 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლისას.

პირველი ეტაპი ფინალური სპრინტით დასრულდა. ყველა ელოდა, რომ აქ ან ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის გამარჯვებული ოსკარ კამენზინდი, ანდა პარიზი-ნიცას ჩემპიონი ფრიგო იპირველებდა, მაგრამ მათ ფაბრიციო გიდიმ აჯობა. საინტერესოა, რომ ახალი ამერიკული გუნდის — „მერკურის" სპრინტერის მეუღლე კაროლინა სწორედ იმ კანტონიდანაა, სადაც ფინიში იყო მოწყობილი.

მეორე ეტაპზე დაახლოებით თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც ფავორიტებიც შედიოდნენ, რამდენიმე წამით მიასწრო პელოტონს ფინიშზე. მოწინავეთაგან ყველას სავოლდელიმ აჯობა და წინა დღეს დაკარგული საერთო ჩათვლის ლიდერობაც დაიბრუნა. თუმცა ლიდერის მწვანე მაისურა მან ისევ მხოლოდ ერთი დღით ჩაიცვა და მეორე დღესვე დარიო ფრიგოს გადაულოცა.

პარასკევის ეტაპი 25,5-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა იყო. პირველობა ესპანელმა დავიდ პლაცამ დაინარჩუნა, ფრიგო კი მეორეობას დასჯერდა.

მეოთხე ეტაპი ჯილბერტო სიმონიმ მოიგო სპრინტით. კვირას კი პეპელათაგან უცნობილესმა მარიო ჩიპოლინიმ გამოიჩინა თავი შეჯიბრის ბოლო ეტაპის ფინალურ სპრინტში.

საერთო ჩათვლაში 27 წლის ფრიგომ გაიმარჯვა, რომელმაც „რომანდიის ტურის" პოდიუმზე სავოლდელი შეცვალა. ლომბარდიელი მრბოლი ამჟამად მშვენიერ ფორმაშია და ეგებ 19 მაისს დასაწყებ „ჯიროზეც" გამოიჩინოს თავი.

**გაგი გურული**

| საბოლოო ჩათვლა |
| --- |
| 1. დარიო ფრიგო (იტალია) 16სთ 59წთ 54წმ |
| 2. ფელიქს გარსია (ესპანეთი) +49წმ |
| 3. ვლადიმირ ბელი (იტალია) +1წთ 03 |
| 4. ოსკარ სევილია (ესპანეთი) +1წთ 40 |
| 5. ჯილბერტო სიმონი (იტალია) +1წთ 47 |



## ტაი-ბრეიკი

# ჰანა და მისი შვილები

**ოთხი** დიდი სლემის ტიტულის მფლობელი ჰანა მანდლიკოვა მაისის ბოლოს ოჯახში მატებას ელის — მას ტყუპი გოგო-ბიჭი უნდა ეყოლოს. განსაკუთრებული და გამოსარჩევი ამ ფაქტში დიდი არაფერი იქნებოდა, 39 წლის ჩეხს მეუღლე ან ბოიფრენდი მაინც რომ ჰყავდეს, მაგრამ სინამდვილეში ის ლესბოსელი გახლავთ და უკვე ორწელიწადნახევარია, ამერიკელ ლიზ რესიგიუს ეტრფის.

არა, უბიწო ჩასახვას ან რაიმე მცირე ანატომიურ სასწაულს ჩვენს ამბავთან არაფერი ესაქმება. მანდლიკოვამ ამ საქმეში ერთი მეგობარი კაცი დაიხმარა, რომელმაც მომავალში ბავშვებთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარი განაცხადა.

„ხალხს შეუძლია, რამდენიც უნდა, იმდენი იჭორაოს. მთავარი ის არის, რომ მე შვილები მეყვარება. მათი მამის სახელს არასოდეს გავამჟღავნებ, რადგან ჩვენ ასე შევთანხმდით. ის ჩემს მეგობრად დარჩება, მაგრამ ბავშვებს არასოდეს ნახავს, ეს თავიდანვე იცოდა — განუცხადა ბრიტანულ გაზეთ „მეილს" მანდლიკოვამ — არა მგონია, ჩვენს შეთანხმებაში რაიმე ექსტრაორდინალური იყოს. სხვაც ბევრი იქცევა ასე, მაგრამ, უბრალოდ, არავის უმჟღავნებს. უკვე 21-ე საუკუნეა და ქალებს არჩევანის უფლება აქვთ".

ჩეხოსლოვაკიაში დაბადებულმა მანდლიკოვამ კარიერის მანძილზე 23 ტიტული მოიპოვა, მათ შორის თითო აშშ-ის და საფრანგეთის, ორიც ავსტრალიის ღია პირველობის. მისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ ჭორები ვერც იმან ჩააცხრო, რომ 1986-ში სიდნეელ არქიტექტორ იან სედლაკს გაჰყვა ცოლად. ბევრის აზრით, ეს ავსტრალიის მოქალაქეობის მისაღებად გადადგმული ნაბიჯი იყო.

კარიერის მანძილზე 6 მილიონი დოლარის მომხვეჭი მანდლიკოვა 1990-ში 28 წლისა წავიდა დიდი სპორტიდან და მერე კარგა ხანი თანამემამულე იანა ნოვოტნას წვრთნიდა (და, როგორც ამბობენ, არა მარტო წვრთნიდა). ახლა ჩეხი ფლორიდაში, სხვა ექს-ვარსკვლავების — შტეფი გრაფის და კრის ევერტის მახლობლად ცხოვრობს მდიდრულ ვილაში.

მანდლიკოვას თქმით, სრული ბედნიერებისთვის მას მხოლოდ შვილები აკლდა. ერთხელ, ჯერ კიდევ პროფესიული კარიერის დასრულებამდე მან აბორტი გაიკეთა, ბოლო 5 წლის განმავლობაში კი წარუმატებლად ცდილობდა დაფეხმძიმებას: „ბოლოს და ბოლოს მცირე ოპერაციის გაკეთება მომიხდა და 7 თვის წინ, როგორც იქნა, სასიხარულო ამბავიც მაცნობეს. მარტოხელა დედა მაინც არ ვიქნები, რადგან ლიზი ყოველმხრივ დახმარებას დამპირდა. ერთი სული მაქვს, ბავშვებს როდის ვნახავ, იმედია, რომელიმე მათგანს ჩემი ან მამაჩემის სპორტული გენები გამოჰყვება".

# რიოსი პოლიციის წინააღმდეგ



მარსელო რიოსმა პოლიციელები ცემა

**მარსელო რიოსის** უჟმური და უხიაგი ხასიათის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ გასულ კვირაში რომის მასტერსის სერიის ტურნირის დროს ჩილელის უსაქციელობა კრიმინალში გადაიზარდა.

მეორე წრის შეხვედრაში მომავალ ჩემპიონ ხუან კარლოს ფერეროსთან წაგების შემდეგ მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ნაღველი ღვინოში ჩაახრჩო და ამაში ისე გამოიჩინა თავი, რამდენიმე თანამესუფრესთან ერთად ადგილობრივი ღამის კლუბიდანაც კი გამოაპანღურეს.

ქუჩაში აღმოჩენილმა ჩილელებმა ტაქსი გააჩერეს და მძღოლის პროტესტის მიუხედავად, ამდენი მგზავრის აყვანა აკრძალულიაო, ხუთივე უკანა სავარძელზე ჩაეკვეხა. სასტუმროსკენ გზად ჯიუტმა იტალიელმა მაინც თავისი გაიტანა, სხვა ტაქსი გააჩერა და ორი მგზავრი იქ გადასვა.

პრობლემები ამით არ დასრულებულა. რიოსმა და მისმა ორმა თანამეინახემ ხუმრობით ერთმანეთს ცემა-ტყეპა დაუწყეს და შემთხვევით ერთი-ორი მძღოლსაც უთავაზეს. ტაქსისტმა, რომელსაც რიოსის ვინაობაზე წარმოდგენა არ ჰქონდა, ვილაც ლათინოსებისგან შეურაცხყოფა ვერ აიტანა, პირველივე პოლიციის უბანთან გააჩერა მანქანა და კანონის დამცველებს წესრიგის აღდგენა მოსთხოვა.

დაწყნარების ნაცვლად კარაბინერების დანახვამ ჩოგბურთელზე ისე იმოქმედა, როგორც წითელმა ხარზე: ჩია, მაგრამ ფიზიკურად საკმაოდ ძლიერმა რიოსმა ორი პოლიციელი გემოზე მიბეგვა და მხოლოდ დამატებითი ძალების გამოჩენის შემდეგ დაშოშმინდა. ნაცემები საავადმყოფოში გააქანეს, რიოსი — პოლიციაში და მხოლოდ მეორე დღეს გაათავისუფლეს.

ATP-ის თავკაცმა მარკ მაილსმა თავზე აიღო ინციდენტის დეტალების გამოძიება და შესაბამისი ზომების მიღება. იტალიაში „დაკავების დროს გაწეული წინააღმდეგობისა და კანონის დამცველთათვის ზიანის მიყენების" ბრალდებით რიოსის წინააღმდეგ საქმეც აღძრეს, თუმცა ჩილელი სასამართლოში გამოცხადებას, ალბათ, გადაურჩება და მას მხოლოდ ადვოკატი წარმოადგენს.

„გასულ კვირაში ნამდვილად უსიამოვნო ამბავში გავეხვიე. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მაგრამ ახლა მხოლოდ მომავალზე ფიქრი და ხეირიანი თამაშით დანაშაულის გამოსყიდვაღა დამრჩენია" — აღნიშნა რიოსმა უკვე ჰამბურგში, სადაც პირველ წრეში კარლოს მოიას 6:4, 6:4 აჯობა.

25 წლის ჩოგბურთელი დეკემბერში დაქორწინდა და რამდენიმე კვირაში პირმშოს დაბადებას ელის.

# ალბერტო წავიდა

**ესპანელი** ალბერტო ბერასატეგი, ერთ დროს როლან გაროსის ფინალისტი და მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი, სპორტიდან წავიდა. ბასკური წარმოშობის ჩოგბურთელი ჯერ მხოლოდ 27 წლისაა, მაგრამ ბოლო თვეებში წარუმატებელი ასპარეზობის გამო საუკეთესოთა ასეულიდან გავარდა და პატარა მეორეხარისხოვან ტურნირებზე წვალებას საერთოდ პენსიონერობა არჩია.

„შვებით ამოვისუნთქე. ახლა ჩემი ოჯახისთვის მეტი დრო დამრჩება და ისეთ რამეებს მოვკიდებ ხელს, რასაც ჩოგბურთის გამო ვერ ვაკეთებდი. ბოლო წელიწადნახევარი ძალიან მძიმე გამოდგა, ასე გაგრძელებას ვერ შევძლებდი" — აღნიშნა ესპანელმა, რომელმაც კარიერაში 14 ტურნირი მოიგო და საჩოგბურთო წრეებში ჩოგნის ჭერის უკულმართი მანერით იყო ცნობილი.

როგორც დღევანდელი ტაი-ბრეიკის ყველა გმირი, ბერასატეგიც ზრუნავს თავისი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებზე — მისი მეუღლე პირველ შვილს ელის.

**ავთანდილ სვანიძე**


დიმიტრი დოხტურიშვილი

# აბა, ოქროა დოპინგი!

## ალექსანდრე, რომელიც დიმიტრი ყოფილა

*ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე დოხტურიშვილს, რომელსაც აქამდე ჟურნალისტები ალექსანდრედ ვიცნობდით, თურმე დიმიტრი რქმევია. გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში სტამბოლის ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებული საქართველოს ნაკრების პრესკონფერენციაზე ყოფნისას იქ დამსწრე მასმედიის წარმომადგენლებს განვუცხადეს, ალექსანდრეს ნამდვილი სახელი დიმიტრი ჰქვიაო. ჩვენც რაღა დაგვრჩენია, დღეიდან მას დიმიტრით მოვიხსენიებთ. მოგეხსენებათ, დიმიტრი დოხტურიშვილს შარშან რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებით თავი არ გამოუჩენია. ერთი-ორ საერთაშორისო შეჯიბრებაზე იასპარეზა, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც, ცხადია, ვერ მოიპოვა. ამიტომ მისი ახლანდელი ევროპის ჩემპიონობა ყველამ სასიამოვნო სიურპრიზად აღიქვა. მით უმეტეს, რომ იგი პირველად გამოდიოდა უფროსთა ესოდენ დიდ შეჯიბრებაზე. მასთან საუბარიც გუშინ ამ კითხვით დავიწყეთ:*

**— ელოდით წარმატებას?**

— წარმატებას ველოდი, ოღონდ არა ასეთს. თავდაპირველად გეგმაში სამეულში მოხვედრა მქონდა. თუმც გულში ჩემპიონობაზე ვფიქრობდი. როდესაც სპორტსმენი ამა თუ იმ შეჯიბრებაზე მიდის, ბუნებრივია, წარმატებაზე ფიქრობს. ამის გარეშე მარცხი გარდაუვალია...

**— როდის ირწმუნეთ, რომ ჩემპიონი გახდებოდით?**

— როდესაც პირველივე შეხვედრაში ჩემი ძველი გერმანელი მეტოქე დავამარცხე. საქმე ისაა, რომ ადრე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალისკენ მიმავალ გზაზე სწორედ იმ გერმანელმა მომიგო, ახლა კი პირიქით მოხდა.

**— ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ვინ გაგიწიათ?**

— წინააღმდეგობა ფინალში რუსმა მიხაილ ივანჩენკომ გამიწია. დანარჩენი შეხვედრები კი ასე თუ ისე იოლად გავლიე.

**— ეს წარმატება ალბათ სამომავლოდ დიდი სტიმული იქნება თქვენთვის...**

— რა თქმა უნდა. ჩემს ფსიქოლოგიაზე ამან დოპინგივით იმოქმედა. თანაც, ადრინდელთან შედარებით, ასე ვთქვათ, გავიზარდე. სასიხარულოა, რომ სტამბოლიდან ჩემპიონი დავბრუნდი. მომავალში ეს დიდ სტიმულს მომცემს, მით უმეტეს, რომ მინდა, ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც ვიასპარეზო

**გიგა გურასაყვილი**

# დოხტურიშვილმა გვიაქიმა

*გაზაფხული უხვმოსავლიანი გამოდგა ქართული სპორტისთვის. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა მათი წინამორბედების — „თავისუფლებისა“ და ძალოსნების დარად, ჩემპიონით გაგვახარეს. გარდა ამისა, მათ მსგავსად გუნდური მესამე ადგილიც დაიკავეს. თუმც ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ 17-წლიანი პაუზის შემდეგ ქართული ბერძნულ-რომაული სკოლის აღზრდილმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ბოლოს, 1984 წელს, ეს თემურ აფხაზავამ გააკეთა. გვიხარია ისიც, რომ XXI საუკუნის პირველივე წელს ბერძნულ-რომაულ სამყაროში საქართველოსაც ჰყავს ჩემპიონი.*

*სტამბოლის 48-ე ევროპის ჩემპიონატზე დიმიტრი დოხტურიშვილმა გვასახელა. ქართველთა წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის ირაკლი ჭოჭუასაც. მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. თუმც შეიძლებოდა, უკეთესი შედეგიც გვქონოდა. „ბრინჯაოსთან“ ახლოს იყო გიორგი ჯინჭველაშვილი... ამ და სხვა ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ბეგი დარჩიას.*

**— თქვენ ერთი ნაბიჯი, უფრო სწორად, „ბრინჯაო“ დაგაკლდათ, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წარმატება გაგემეორებინათ. მიზანთან სულ ახლოს იყო გიორგი ჯინჭველაშვილი, რომელიც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მასპინძელ ნაზმი ავლუჯასთან დამარცხდა. ახლა რომ იხსენებთ იმ შეხვედრას, როგორ ფიქრობთ, ჯინჭველაშვილს შეეძლო გამარჯვება?**

— ჯინჭველაშვილმა ისე იჭიდავა, როგორც შეეძლო. თუმც მასაც ჰქონდა საპრიზო ადგილის მოპოვების შანსი. და მაინც, ამ ეტაპზე მისთვის მეოთხე ადგილი მაქსიმუმი იყო. საქმე ისაა, რომ გიორგი მისთვის უჩვეულო, 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, მანამდე იგი 69 კგ-ში ასპარეზობდა. ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოდ მისი შედეგი დამაკმაყოფილებელია.

**— ჩვენთვის მოულოდნელი იყო სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსნების, აკაკი ჩაჩუასა (63კგ) და მუხრან ვახტანგაძის (85კგ) საპრიზო ადგილების მიღმა დარჩენა. ალბათ, თქვენც ასე ფიქრობთ, არა?**

— მეც და პირადმა მწვრთნელმა აკაკის ვურჩიეთ, რომ ევროპის ჩემპიონატი გამოეტოვებინა. მოგეხსენებათ, იგი თავისებური მოჭიდავეა, თანაც ასაკოვანი. ამიტომაც ვფიქრობდით, რომ პირდაპირ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოგვემზადებინა. სამწუხაროდ, მან ჩვენი რჩევა არ გაითვალისწინა. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მის წარუმატებლობაში გარკვეული როლი საკონტროლო შეხვედრების გამოტოვებამ ითამაშა. ეს კი იმან განაპირობა, რომ ოდნავ დაშავებული იყო. მართალია, სტამბოლში პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა, მაგრამ მეორე საკმაოდ იოლად დათმო ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან. ამიტომაც უკმაყოფილო ვარ როგორც მისი ჭიდაობით, ისე იმითაც, რომ არ დაგვიჯერა. შემდგომში აკაკის შეხედულებას აღარ გავითვალისწინებთ. როგორც მწვრთნელები გადავწყვეტთ, ისე იქნება.

რაც შეეხება მუხრან ვახტანგაძეს. მან ქვეჯგუფში გაიმარჯვა, მაგრამ საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა. არადა, ჩვენი აზრით, მას აუცილებლად უნდა ეჭიდავა ფინალში, სადაც თურქ ჰამზა ერლიქაიას შეხვდებოდა. სამწუხაროდ, მუხრანი მზადების დასკვნით ეტაპზე კალაპოტიდან ამოვარდა. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატამდე ჩვენმა ნაკრებმა დასკვნითი საწვრთნელო შეკრება ბათუმში გაიარა, შინაურ კედლებში ყოფნისას კი მუხრანს მასმედიის წარმომადგენლები მოსვენებას არ აძლევდნენ. ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან ნახევარ წელიწადზე მეტი დრო გავიდა, მაგრამ მაშინდელი წარმატება ახლა კვლავ გაახსენდათ...


ბეგი დარჩია

**— დოხტურიშვილისთვის ეს პირველი მედალია უფროსთა შეჯიბრებაზე, თანაც ოქროსი. მან დამაჯერებლად ჩაატარა მთელი ჩემპიონატი?**

— დიმიტრიმ მართლაც ძალიან გაგვაოცა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მან შარშან მხოლოდ ორჯერ იასპარეზა საერთაშორისო სარბიელზე, ახლანდელი ბრწყინვალე გამარჯვება სასიამოვნო სიურპრიზად წარმოგვიდგება.

სხვათა შორის, დიმიტრიმ შარშან გუნდის ინტერესების გამო ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატზე თავისთვის უჩვეულო წონაში — 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოვიდა. გაამართლა კიდეც. მან გამარჯვება მოიპოვა. სტამბოლის ხალიჩაზე კი სასწაული მოახდინა. დიმიტრიმ არც ერთი ქულა არ დათმო, ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ხუთივე „მშრალად“ მოიგო, ერთი შეხვედრა წმინდად, დანარჩენები კი ქულებით. ფინალში კი ძალიან ძლიერ მეტოქეს, რუს ივანჩენკოს სძლია. ამ უკანასკნელის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ რუსმა მოჭიდავემ გუნდიდან სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორი ამოაგდო.

**— სიდნეის ოლიმპიადასთან შედარებით, სტამბოლში საქართველოს ნაკრები საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდა, ეს რამ განაპირობა?**

— სტამბოლს სიდნეისთან შედარებით მართლაც გადახალისებული შემადგენლობით ვეწვიეთ. ნაკრებში ოთხი ახალგაზრდა ფალავანი გვყავდა. დოხტურიშვილზე ვთქვით. ახლა მეორე პრიზიორ ირაკლი ჭოჭუას შესახებ. მან ფინალში გასასვლელი შეხვედრა ძალიან საინტერესოდ ჩაატარა ბელარუს მოჭიდავესთან. შეხვედრის დამთავრებამდე 20 წამით ადრე ჩრდილოელი 6:4 იგებდა, ირაკლიმ კი იმ ოც წამში მეტოქე ბეჭებზე გააკრა და სუფთა გამარჯვება მოიპოვა. ახალგაზრდები არიან ალექსანდრე კუნჭულია (54 კგ) და ირაკლი ნოზაძე (97 კგ). კუნჭულიას შემთხვევაში დიდი შეცდომა იყო, რომ მან წონა დაიკლო. არ შეიძლება სპორტსმენმა 10 კილო დაიკლოს და მერე წარმატებით იასპარეზოს. მომავალში ამას აუცილებლად გავითვალისწინებთ.

ჩვენ, მწვრთნელთა საბჭოს, წინასწარ გვქონდა გადაწყვეტილი — რაკი ახალი ოლიმპიური ციკლი იწყებოდა, ამ ეტაპზე საქართველოს ყველა ჩემპიონი წაგვეყვანა კონტინენტის პირველობაზე. შემდგომში ეს ასე აღარ იქნება. ნაკრებს სხვადასხვა ტურნირში მიღწეული შედეგების მიხედვით შევარჩევთ. ამ შემთხვევაში ახლანდელ ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ პირიქით, მათ ყველანაირად შევუწყობთ ხელს, ხოლო დანარჩენებმა, უნდა დაამტკიცონ, რომ ნაკრებში მიწვევის ღირსნი არიან.

ახლა იმაზე ვფიქრობთ, თუ სად შევარჩიოთ ნაკრების წევრები. ეს ალბათ მოსკოვში, ივან პოდდუბნის საერთაშორისო ტურნირზე მოხდება.

**— როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე და, საერთოდ, მომავალში, რა პერსპექტივა აქვს ამ გუნდს?**

— გუნდს დიდი პერსპექტივა აქვს. ჩვენ გვყავს მედლის კანდიდატები. მხედველობაში მყავს მუხრან ვახტანგაძე, მირიან გიორგაძე (მძიმე წონა).

სხვათა შორის, მირიანს პირველივე ორთაბრძოლისას ფეხი რომ არ ასტკივებოდა, შეიძლება, ჩემპიონობისთვისაც გამოეკრა ხელი. მომავალში ამის ასაცილებლად მან სასწრაფოდ უნდა გაიკეთოს მუხლის ოპერაცია. მას მენისკი აწუხებს და ჯვარედინი იოგებიც დაზიანებული აქვს.

არიან კიდევ ახალგაზრდა სპორტსმენები. მაგალითად, მძიმე წონაში გვყავს წურწუმია, 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტარიელ მელელაშვილი, ხასაია. ერთი სიტყვით, საქმე ასარჩევად გვაქვს.

მხოლოდ 54 კგ-ში მოვიკოჭლებთ. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატზე ამ წონაში ალექსანდრე კუნჭულია გვყავდა. ვინაიდან იგი ჩვეულებისამებრ ზედა წონაში გამოდის, მის ადგილს ისევ ვაჟა ომანიძე დაიკავებს.

**გიგა გურასაყვილი**


# იყიდება

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

**ტელ:**
**78 28 77**




ხელბურთი

# სეზონი სლოვენიელმა ქალებმა დახურეს

**ახალი** საუკუნის პირველი სახელბურთო სეზონი ქალთა ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩებით დასრულდა. დანიის „ვიბორგი“ და სლოვენიის „კრიმი“ ჯერ ორჰუსში, დანიელთა მოედანზე შეიბნენ. სტუმრებმა ძლიერ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს და იმედისმომცემ ფრეს მიაღწიეს — 22:22 (12:9).

მასპინძელთაგან ტრადიციულად მათი უმთავრესი მეგოლე ჰეიდი ასტრუპი გამოირჩა — 29 წლის ფორვარდმა 12 შედეგიანი ტყორცნა განახორციელა. სლოვენიელთა გუნდში საუკეთესომ, უკრაინელმა ლეგიონერმა ნატალია დერეპასკომ კი ექვსჯერ იყოჩაღა.

ლიუბლიანაში განმეორებითი შეხვედრა „კრიმმა“ სწრაფი შეტევებით დაიწყო, თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და ტაიმი ამჯერადაც სამი ბურთით მოიგო — 13:10. მასპინძლებს არც შესვენების შემდეგ შეუნელებიათ ტემპი და საფინალო სასტვენის წინ ანგარიშში სხვაობა გააორმაგეს — 25:19. ასტრუპი რვა გოლს დასჯერდა, სლოვენიელმა დეია დოლერმაც ამდენივე გაიტანა.

სახელბურთო კლუბი „კრიმ ნეუტრო რობერტსი“ პირველად დაეუფლა ჩემპიონთა თასს. მისი მთავარი მწვრთნელია ცნობილი სპეციალისტი მარიან დოლერი, ხოლო გუნდის ჭრელ შემადგენლობაში არიან: უკრაინელები — 28 წლის დერეპასკო და ინა დოლგუნი (34), რუმინელები — ლუმინიცა ჰუტუპანი (29) და ანა მიხაელა ბობოცია (26), რუსი ოლგა ჩეჩკოვა (29), პოლონელი აგნეშკა მატუშევსკა (30), იუგოსლავიელი ბრანკა იოვანოვიჩი (30), სლოვენიელები — დოლერი (23), მაია მიტროვიჩი (23), ტატიანა ოდერი (26), ანია ფრეზერი (26) და ბრანკა მიატოვიჩი (27).

დანარჩენი ევროთასები მოიპოვეს: პოლონეთის „მონტექს ლუბლინმა“ (ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასი), უკრაინის „მოტორ ზაპოროჟიემ“ (თასების მფლობელთა თასი) და საფრანგეთის „ნიმმა“ (ჩელენჯ კაპი).


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

NHL. სტენლის თასი. კონფერენციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# ტკბები? აგებ!

15 მაისი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 1 |
| პიტსბურგი | 1 |

**ნიუ ჯერსი 2:4 პიტსბურგი**

**(2:0 0:3 0:1)**

**1:0 პანდოლფო 9(1), 2:0 სიკორა 17(7), 2:1 მოროზოვი 30(2), 2:2 კოვალიოვი 33(5), 2:3 კორბე 36(1), 2:4 ლანგი 46(4)**

თავისუფლად შეიძლება, ნიუჯერსელებს საკუთარი თავით ტკბობა და თვითკმაყოფილება დავწამოთ. ამ თვისებამ მხოლოდ ახლა როდი იჩინა თავი. შარშანდელ პლეი ოფშიც, ფილადელფიასთან ნახევარფინალში, გუნდმა პირველი მატჩი მოიგო, მეორეშიც ამარცხებდა მეტოქეს, თანაც ბრწყინვალედ თამაშობდა, მაგრამ მერე თამაში შოუდ აქცია, ის კი დაავიწყდა, რომ სერიოზული ბრძოლა მართებდა და დაისაჯა კიდეც. ის შეხვედრაც წააგო, მომდევნო ორიც და მხოლოდ შემდეგ, როცა უკანდასახევი გზა აღარ დარჩა, გონს მოეგო. წლეულსაც რამდენჯერმე ჩაიგდეს თავის საფრთხეში „ეშმაკებმა". პირველ რაუნდში კაროლინასთან 3:0 დაწინაურებას ორი წაგება მოჰყვა, შემდეგ ტორონტოსთან მეორე მატჩში 5:2 იგებდნენ და ეს უპირატესობა ისე შეიფერეს, ოვერტაიმში გადასარჩენი გაუხდათ თამაში. მაგრამ ნიუ ჯერსიმ ძველი შეცდომებისგან, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნები ვერ გააკეთა და სამშაბათსაც იგივე გაიმეორა. პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, როცა პიტსბურგს საწყის ათ წუთში რაღაც მაინც გამოსდიოდა, მასპინძლებმა თავიდანვე იგდეს ხელთ ინიციატივა და ძალიან იოლად მოიპოვეს ორშაიბიანი უპირატესობა. გოლებიც ისე სწრაფად გაიტანეს, თითქოს მეორეხარისხოვანი გუნდი ჰყავდათ მეტოქედ. თავიდან ჯეი პანდოლფოს ბორტიდან ჩაწოდებულ შაიბას მეკარე იოჰან ანდერს ჰედბერგმა ყვანჯი ისე უშნოდ დაუხვედრა, რომ ის პირდაპირ კარში გაგზავნა. შემდეგ უმცირესობაში ნიუჯერსელებმა საუცხოო კონტრშეტევა განახორციელეს და პეტრ სიკორა სტუმართა გოლკიპერს იოლად გაუმკლავდა. ამან „ეშმაკები" გაადიდგულა, მით უმეტეს, მეტოქეც ვერ იყო ბრძოლის ხასიათზე და იმას, რომ კიდევ ერთი-ორი გოლით მოეთავებინათ საქმე, ისევ საკუთარი თამაშით ტკბობა ამჯობინეს. ცხადია, ყველაფერი ცუდად დასრულდა. რიცხვმრავლობაში ყოველთვის საიმედოდ მოთამაშე გუნდის კაპიტანი სკოტ სტივენსი მეორე პერიოდში ეფექტის მოსახდენად მეტოქის კარსუკან გასრიალდა და პარტნიორი მცველი ორ პიტსბურგელს მარტო შეატოვა. მარიო ლემიემ დაარტყა, მარტინ ბროდომ უხერხულად მოიგერია და დამატებაზე ალექსეი მოროზოვს ხელი ვეღარავინ შეუშალა. გავიდა სამი წუთი და სუპერმარიომ გულარხეინობისთვის კიდევ ერთხელ დასაჯა მოწინააღმდეგე. სათადარიგოთა სკამიდან ყინულზე გასული მაშინვე ბრძოლაში ჩაება, კენ დანეიკოს პასი ჩაჭრა და უმალვე ალექსეი კოვალიოვს მიაწოდა, რომლის მყისიერი დარტყმაც ბროდოსთვის აუღებელი გამოდგა. მესამე გოლშიც თავად ნიუ ჯერსია დამნაშავე. შაიბის მოგერიებისას შეინ ოდონელმა იგი პირდაპირ რენე კორბეს ყვანჯს მოარტყა და რიკოშეტს შემდეგ „ეშმაკთა" კარის ბადე მესამედ შეირხა.


სკოტ გომესმა პიტსბურგელთა მეკარე იოჰან ჰედბერგი კარში შეიტანა

ნიუ ჯერსი მაშინღა გამოფხიზლდა, როცა რობერტ ლანგისა და ალექსეი კოვალიოვის კომბინაციის შემდეგ ანგარში უკვე სახიფათო იყო, ბოლო წუთები საკმაოდ ენერგიულადაც ჩაატარა, მეტოქე ზედიზედ ორჯერაც აიძულა, წესი დაერღვია, მაგრამ პიტსუბრგმა თავგანწირვით დაიცვა სასურველი უპირატესობა და თუ „ეშმაკები" ამ გაკვეთილიდანაც ვერ ისწავლიან ჭკუას, უეჭველია, რომ მწარედ ინანებენ.

**სამველ ლარიბიანი**

ჭადრაკი

სარაევოს ტურნირი

# ებრაელი ბულგარულ საქმეში

**სარაევოს** ტურნირი „ბოსნა 2001" დაიწყო. ტურნირს წინ „სუპერს" ვეღარ ვუწერთ, რადგან წინა წლებში სარაევოში მუდმივად მოთამაშე გარი კასპაროვმა ასტანაში ყაზახეთის დამოუკიდებლობის 10 წლისთავისკენ გადაიტანა ყურადღება და ბოსნიელებს თამაშზე უარი შეუთვალა. არც სხვა ზემოჭადრაკეები ჩასულან სარაევოში და ამ მიზეზით ტურნირი მე-16 კატეგორიამდე ჩამოქვეითდა. მხოლოდ ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი გახლავთ მოთამაშეთაგან 2 700-ზე მაღალი რეიტინგის პატრონი, სხვებისა კი 2 501-დან 2 691-მდე მერყეობს. ესენი არიან: ბულგარელივე კირილ გეორგიევი, ებრაელი ილია სმირინი, რუსი ალექსეი დრეევი, ხორვატი ზდენკო კოჟული, სომეხი ჩეხეთიდან სერგეი მოვსესიანი და მასპინძლები: ივან სოკოლოვი, სუათ ატალიკი, ბოიან კურაიცა და ემირ დიძარევიჩი. ამ ხალხიდან 3 ტურის შემდეგ დიდი სენსაცია არავის გამოუცხვია, ვინც ლონივრად ითვლება, ლონივრად თამაშობს და იმიჯით მაჩანჩალებსაც შესაფერისი ადგილები უჭირავთ.

2 ტურის შემდეგ ცხრილის თავი ბულგარელებს ეპყრათ. ტოპალოვმა პირველ ტურში მოვსესიანს თეთრებით მოუგო, როცა შავი მეფე ეტლითა და ლაზიერით გამოიჭირა. მეორე ტურში ტოპალოვს ატალიკთან შავები ჰყავდა და აქაც ეფექტურად გაისარჯა. დასკვნით მომენტში მისმა ეტლებმა მე-2 ჰორიზონტალი სრულად დაიპყრეს და სანამ პაიკთა მუსვრას შეუდგებოდნენ, ატალიკმა დანებება მოასწრო. გეორგიევმა ჯერ სოკოლოვი იმსხვერპლა, მერე — სტარტზე ბედშავი მოვსესიანი. მესამე ტურში ბალკანელთა დიქტატი ებრაელმა შეარყია. სმირინმა შავებით გაანადგურა კოჟული, ტოპალოვი დრეევს ვერ მოერია, გეორგიევი — ატალიკს, ამიტომ 2,5 ქულა სამ კაცს დაუგროვდა. ტრიოს კვალში დრეევი უდგას.

**დავით გულუა**



მესამე ტურში ცენტრალური ვესელინ ტოპალოვისა (მარცხნივ) და ალექსანდრ დრეევის პარტია იყო

**ვითარება 3 ტურის შემდეგ**

**1-3. სმირინი, ტოპალოვი, გეორგიევი 2,5; 4. დრეევი 2; 5. კურაიცა 1,5; 6-8. დიძარევიჩი, სოკოლოვი, კოჟული 1; 9-10. ატალიკი, მოვსესიანი 0,5**

ზუსტად ოცი წელიწადი
გავიდა იმ დღიდან,
როცა თბილისის „დინამომ"
ითამაშა თავისი ერთადერთი
ევროპული ფინალი...
1981 წლის 13 მაისის დარი
თარიღი ბევრი არ არის
გასული საუკუნის არათუ სპორტის,
არამედ მთლიანად ქვეყნის ისტორიაში...
იგონებს ოცი წლის წინანდელი
თბილისის „დინამოს".
უკეთესად ვერც მოიგონებს ვინმე!
ფასი მხოლოდ
1 ლარი




სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.

მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-26-84.

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ. აბაზანა–ტუალეტი რემონტით, ბ/აივნით, ბარნოვის ქ. №71 II სად. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც:

ტელ:
22-75-07, 69-52-58




REUTERS ისტ რეზერფორდიდან



# ორი მეკარე

აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალის მეორე მატჩი ისტ რეზერფორდში და ორი მეკარე: „ნიუ ჯერსის“ დამწუხრებული კარის დარაჯი მარტინ ბროდო და მისი საქმეში ჩაფლული პიტსბურგელი კოლეგა იოჰან ჰედბერგი. „პიტსბურგმა“ 4:2 იმარჯვა „მიდოუელენდს არენაზე“ და სერიაში ანგარიში გაათანაბრა, 1:1.

# აივერსონ-უძვირფასესი



REUTERS ფილადელფიიდან

„ფილადელფია 76“-ის ლიდერი ალენ აივერსონი სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ გამოცხადდა. მოხულიგნო ვარსკვლავი, კრიმინალის შვილი და უკვე დიდი კალათბურთელი თავის გუნდთან ერთად ფინალისკენ მიიწევს. 124 კალათბურთზე მწერალი და მოლაპარაკე ჟურნალისტიდან 93-მა სწორედ აივერსონი დაასახელა სეზონის საუკეთესო მოთამაშედ. ეს კი დიდი სტიმულია ფილადელფიელისთვის, რომელსაც ახლა კი უზის კალთაში მწვრთნელი ლარი ბრაუნი, მაგრამ იგივ მწვრთნელი ბარე სამჯერ დაემუქრა გიჟმაჟ ვარსკვლავს, წესიერად მოიქეცი, თორემ გუნდიდან გაგაგდებო.

REUTERS ლოზანიდან




# პეკინის წინააღმდეგ

*2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის რბოლაში პეკინი ლიდერობს. ლოზანაში კი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინ თავი მოუყრიათ კომუნისტური ჩინეთის მიერ ტანჯული ტიბეტის შვილებს. საპროტესტო აქციის არსი გასაგებია, სად ოლიმპიური იდეალები და სად დამპყრობელი კომუნისტები?*

# თათბირი

რომში მიმდინარე მასტერსზე, ეს წყვილი ნაღდად იწვევს რეპორტიორთა ინტერესს. არანჩა სანჩეს ვიკარიო და მარტინა ნავრატილოვა ფრანგებთან, ნატალი დიშისისა და ნატალი ტოზიასთან თამაშის წინ თათბირობენ. ორი დიდი ჩოგბურთელი და ორი ნატალი, ნავრატილოვა კი თითქოს არც გადაცილებია ორმოცს.

REUTERS რომიდან




# როი ჯონსის მორიგი



REUTERS ნიუ იორკიდან

ქვემძიმე წონამდე აცოცებული დიდი ჩემპიონი, როი ჯონსი კვლავ გადის რინგზე. ასოციაციისა და ფედერაციის ჩემპიონი საუკეთესოა დღევანდელ კრივში და რახან რინგზე ტოლ-სწორი ჯერ არ შეხვედრია, ბრძოლის ინტერესი იმის გამო შერჩენია, რომ მძიმე წონისკენ მიიწევს. როი ჯონსს კარიერაში ერთადერთი წაგება აქვს და ისიც მოგებულ ბრძოლაში — დანოკაუტებულ მოწინააღმდეგეს მან მუშტი მიაყოლა და დისკვალიფიკაცია მიიღო. ასეა თუ ისე, 28 ივლისს, ჯონსი მექსიკელ ხულიო გონსალესს (მარჯვნივ) შეებრძოლება ლოს ანჯელესში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge